ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

ქეთევან იმნაძე

„სუბროგაციის გამიჯვნა რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებისა და ცესიისაგან“

სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ - პროფესორი

თბილისი, 2019 წელი

აბსტრაქტი

ტერმინი „სუბროგაცია“ (Latin – subrogatus) ლათინური წარმოშობისაა და სიტყვასიტყვით „ერთი საგნის მეორით ჩანაცვლებას“ ნიშნავს. ეს ტერმინი ძირითადად ანგლოსაქსური სამართლის სისტემაში გამოიყენება, ხოლო კონტინენტურ ევროპის სამართალში აღნიშნული ინსტიტუტი cession legis სახელით არის ცნობილი.

სუბროგაციის ინსტიტუტი ძირითადად სადაზღვევო და საბანკო სფეროებში გამოიყენება. სუბროგაციის დროს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში ძველი კრედიტორის ადგილს ახალი კრედიტორი იკავებს და ამ უკანასკნელს მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშობა.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითად საგანს და მიზანს რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებისა და ცესიისაგან სუბროგაციის გამიჯვნა წარმოადგენს. ქართულ იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ხდება სუბროგაციის აღრევა სამოქალაქო სამართლის ისეთ ინსტიტუტთან, როგორიცაა რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება და მოთხოვნის დათმობა. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ამ ინსტიტუტებს შორის არსებულ განსხვავებას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

საკვლევ ინსტიტუტებს შორის არსებული ძირითადი მახასიათებლებისა და მათი განმასხვავებელი ნიშნების უკეთ წარმოჩენისა და გამიჯვნის მიზნით, კვლევაში წარმოდგენილია, როგორც ეროვნული, ასევე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის, არსებული სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი.

კვლევაში სუბროგაციის ძირითად მიზნებთან ერთად განხილულია, სუბროგაციის წარმოშობის სამართლებრივი და ფორმალური საფუძვლები, ინსტიტუტის როლი დაზღვევის სამართალში და მისი გამოყენების, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ასპექტები.

წინამდებარე ნაშრომი შესავალი ნაწილის, ოთხი თავისა და დასკვნისგან შედგება. პირველი თავი სუბროგაციის ინსტიტუტის არსს, მის წარმოშობასა და განვითარების ისტორიულ ეტაპებს მიმოიხილავს. მეორე თავი სადაზღვეო სამართალში სუბროგაციის ინსტიტუტის ფორმალური და სამართლებრივი წარმოშობის საფუძვლებს შეეხება. მესამე და მეოთხე თავები შესაბამისად სუბროგაციისა და რეგრესის, სუბროგაციისა და ცესიის შედარებით სამართლებრივ ანალიზს განიხილავს.

Abstract

*The term "Subrogation" (**Latin - Subrogatus**) is of Latin origin and literally means "substitution of one subject with another". The mentioned term is mainly used in the Anglo-Saxon law system, while in the Continental European Law the mentioned institution is known as **Cession Legis.***

During the subrogation, a new creditor takes the place of an old creditor in an obligatory legal relationship, and the right of request towards the third party is transferred to the new creditor.

In Georgian legal doctrine and judicial practice, the subrogation is often confused with such institutions of civil law as recovery of damages in a form of regression and cession. However, it is important to note that the distinction between these institutions has theoretical as well as practical importance. The main subject and aim of the research of the Master's thesis is the separation of the subrogation institution from the recovery of damages in a form of regression and the cession.

In order to better differentiate and represent the main characteristics and distinguishing features of the institutions to be researched, the research provides a comparative legal analysis of national legislation as well as of legislations of various countries, existing court practice and scientific literature.

In the present thesis, together with the main goals of subrogation, there is a discussion concerning the legal and formal basis for the creation of subrogation, the role of the institution in the insurance law and positive as well as negative aspects of its usage.

The thesis consists of an introduction part, four chapters and a conclusion. The first chapter covers the essence of the subrogation institution, its origin and historical stages of development. The second chapter concerns the principles of formal and legal origin of the subrogation institution in insurance law. Correspondingly, the third and the fourth chapters discuss the comparative legal analysis of subrogation and regression, subrogation and cession.

სარჩევი

აბრევიატურები 4

შესავალი 5

I. სუბროგაციის არსი, წარმოშობა და მისი განვითარების ისტორიული ეტაპები.....8

1.1. სუბროგაციის ცნება 8

1.2. სუბროგაციის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის სამართალში.....10

1.2.1 სუბროგაციის დოქტრინა რომის სამართალში 11

1.2.2 სუბროგაციის დოქტრინა ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში 13

1.2.3 სუბროგაციის დოქტრინა გერმანულ სამართალში.....15

1.2.4 სუბროგაციის დოქტრინა ქართულ სამართალში.....15

II. სუბროგაციის ინსტიტუტი სადაზღვევო სამართალში 17

2.1 დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლები.....17

2.2 დაზღვევის ეკონომიკური საფუძვლები 18

2.3 სუბროგაციის დოქტრინის წარმოშობის ფორმალური და სამართლებრივი საფუძვლები სადაზღვევო სამართალში.....19

2.4 სუბროგაციის მიზანი სადაზღვევო სამართლებრივ ურთიერთობებში 23

2.5 სუბროგაცია - სადაზღვევო კომპანიების გარანტი 24

2.6 სუბროგაცია - ზიანის მიმყენებელი პირის პასუხისმგებლობაზე ზემოქმედების საშუალება.....25

2.7 სუბროგაცია, როგორც სარგებლის მიმღები პირის უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციის მეთოდი 25

2.8 სუბროგაციის უფლების გამოყენების დაუშვებლობა.....28

2.9 სუბროგაციის პრიციპის შეზღუდვა.....29

2.10 სუბროგაციის ინსტიტუტი - განსხვავებული მიდგომები 30

III. სუბროგაციისა და რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება (შედარებითი ანალიზი) 31

3.1 რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების არსი 31

3.2 სუბროგაციისა და რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების შორის განსხვავება 32

3.2.1 სუბროგაციის და რეგრესის მახასიათებელი ნიშნები 37

3.2.2 ხანდაზმულობა.....39

3.2.3 ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მიხედვით სუბროგაციის გამიჯვნა რეგრესისგან 45

IV. სუბროგაცია და ცესია (შედარებით ანალიზი) 48

4.1 ცესიის - მოთხოვნის დათმობის ცნება 48

4.3 ცესიის და სუბროგაციის წარმოშობის მატერიალური საფუძველი 53

4.4 ცესიი და სუბროფაციის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი 54

4.7 ცესიასა და სუბროგაციის შორის არსებული სხვა განმასხვავებელი ნიშნები 55

დასკვნა 57

ბიბლიოგრაფია 59

აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

გვ. - გვერდი (გვერდები)

გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

იხ. - იხილეთ

რედ. - რედაქტორი

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

შეად. - შეადარე

ციტ. -ციტირებული

უცხოურ ენებზე:

Aufl. - Auflage

Ed. – edition, editor

Pg. – Page

Rev. – Review

Rn – Randnummer

Univ. – University

V. – versus

შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოიაზრება სახელშეკრულებო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორიც სადაზღვევო სამართალია.

დაზღვევა რისკის მართვის ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება არის შესაძლებელი. კლიენტსა (დამზღვევი) და სადაზღვევო საზოგადოებას (მზღვეველი) შორის დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებისას, დამზღვევის მიერ ხდება რისკის მზღვეველისთვის გადაცემა, რის შემდეგაც შესაძლო ზარალის დროს მზღვეველი დამზღვევს სრულად აუნაზღაურებს ფინანსურ ზარალს იმ ოდენობით და იმ პირობებით, რაც სადაზღვევო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

სადაზღვევო ურთიერთობა მრავალ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, მათ შორის სუბროგაციის ინსტიტუტს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მიხედვით „თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, აღნიშნული მოთხოვნა გადავა მზღვეველზე, თუ ის აუნაზღაურებს დამზღვევს ზიანს“. სუბროგაცია მრავალი ფუნქცია გააჩნია, შესაბამისად, აღნიშნულ ურთიერთობაში მონაწილე მხარეები, მზღვეველი, დამზღვევი (სარგებლის მიმღები პირი) და ზიანის მიმყენებელი პირი, ამ ინსტიტუტთან მიმართებით სხვადასხვა პოზიციაში იმყოფებიან, რის გამოც თითოეული მათგანისათვის სუბროგაცია სხვადასხვა მიზნით ხორციელდება.

პირველ რიგში აღნიშნული ინსტიტუტის კვლევა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ქართულ რეალობაში ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ მწირი ინფორმაცია არსებობს, რის გამოც პრაქტიკაში ხშირად წარმოიქმნება პრობლემები. ამრიგად, ნაშრომში განხილული იქნება როგორც ქართული, ასევე უცხოური ქვეყნის კანონმდებლობა, სასამრთლო პრაქტიკა და იურიდიული ლიტერატურა, რის საფუძველზეც მოხდება სუბროგაციის არსის, მისი ძირითადი მიზნებისა და მსგავს ინსტიტუტებისაგან განსხვავების წარმოჩენა.

ყურადღება დაეთმობა ზიანის დაზღვევის ხელშეკრულების არსებითი ნიშნების მიმოხილვას, ვინაიდან საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, სუბროგაციის ინსტიტუტი გამოიყენება უმეტესად დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში და სწორედ მისი განხორციელების დროს ხდება კრედიტორთა ჩანაცვლება.

საკითხის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის დამახასიათებელი თვისებიდან გამომდინარე მართალია ის ერთის მხრივ, მზღვეველის ფინანსური ინტერესების დამცავ მექანიზმს წარმოადგენს, მაგრამ მეორეს მხრივ, შესაძლოა პრევენციულ მიზანსაც ისახავდეს მესამე პირის

მიმართ. ცხადია აღნიშნულ ურთიერთობაში მონაწილე მხარეებიდან, ყველაზე ცუდ პოზიციაში სწორედ ზიანის მიმყენებელი მესამე პირია მოქცეული.

ნაშრომში გამოყენებულ იქნება სისტემური კვლევის მეთოდი, კერძოდ განხორციელდება სუბროგაციის შედარება რეგრესა და ცესიასთან. აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის არსებობს გარკვეული მსგავსება, რის საფუძველზეც მათი აღრევა ერთმანეთში ხშირად ხდება, ამრიგად, ნაშრომში განსახილველი საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები გარკვეულ წილად დაგვანახებს მათ შორის არსებულ მკვეთრ სხვაობას.

რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტია, რომლის თანახმადაც, უკუმოთხოვნა გვაქვს სახეზე, კერძოდ, მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, თავდაპირველი მფლობელის ადგილს მესამე პირი იკავებს, რომელსაც მოთხოვნის უფლება წარმოეშობა. ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სუბროგაციის დროს, ასევე რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების შემთხვევაშიც, თავდაპირველი კრედიტორი კარგავს მოთხოვნის უფლებას.

რაც შეეხება ამ ინსტიტუტების გამიჯვნას, სუბროგაციასა და რეგრესს შორის განსხვავება ვლინდება ურთიერთობის წარმოშობის საფუძველშივე, რადგან რეგრესი ყოველთვის გულისხმობს ორი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას, კერძოდ, ძირითადი ვალდებულების დასრულების შემდეგ, მეორე, დამოუკიდებელი ვალდებულება წარმოიშობა. ხოლო სუბროგაციის შემთხვევაში არსებული ვალდებულება უცვლელი რჩება და მხოლოდ ძველი კრედიტორის, ახლით ჩანაცვლება ხდება. ამასთან, სუბროგაციასა და რეგრესს შორის ხანდაზმულობის ვადებშიც არის განსხვავება. კერძოდ, სუბროგაციის დროს ხანდაზმულობის ვადის დენა აითვლება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან და კრედიტორის ჩანაცვლების მიუხედავად, მისი დენა გრძელდება, ხოლო რეგრესის დროს, ვინაიდან, ახალი ვალდებულების წარმოშობა გვაქვს სახეზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება, მას შემდეგ, რაც მზღვეველი დაზარალებულ პირს აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს და წარმოიშობა მეორადი ვალდებულება, ძირითადი ვალდებულებისგან. ძირითადი ნიშანები, რომელიც განასხვავებს სუბროგაციას რეგრესული ვალდებულებისაგან როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

რაც შეეხება სუბროგაციის ინსტიტუტს და ცესიას ორივე მათგანი კრედიტორის მოთხოვნის უფლების გადასვლის მარეგულირებელი ინსტიტუტია. მნიშვნელოვანია, რომ ორივე შემთხვევაში, სახეზეა კრედიტორის ცვლილება და არა თავად ვალდებულებითი ურთიერთობის

შინაარსის ცვლილება გვაქვს. არსებითი განსხვავება ამ ორ ინსტიტუტს შორის უპირატესად იკვეთება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ცესია ითვალისწინებს მოთხოვნის გარიგების მიერ (სახელშეკრულებო) დათმობას, ხოლო სუბროგაციისთვის არსებითია მოთხოვნის გადაცემის კანონით გათვალისწინებული შემთხვევა. მეორე მხრივ, ამ ორ ინსტიტუტს ერთმანეთისგან განასხვავებს ის, რომ სუბროგაციის შემთხვევაში არ ხდება ძველი ძირითადი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასრულება, რის გამოც, იგი დამოკიდებული ხდება ურთიერთობის წარმოშობის საფუძველზე - კაუზაზე, განსხვავებით ცესიისგან, სადაც კაუზას არ ენიჭება მნიშვნელობა და რომელიც აბსტრაქტულ გარიგებას წარმოადგენს.

ნაშრომში არსებული მსჯელობით დგინდება, რომ აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის მკვეთრი მიჯნა არსებობს, რასაც არამხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. აქედან გამომდინარე, არ არის გამართლებული სუბროგაციის ინსტიტუტის ნაცვლად რეგრესული წესით ზიანის ანაზღაურების უფლებაზე ან თუნდაც სახელშეკრულებო ცესიაზე მითითება. ამავდროულად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნაშრომში მითითებული უზენაესი სასამართლოს განმარტებები ცალკეულ საქმეებთან დაკავშირებით ამ ინსტიტუტებს ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავს, რაც ადასტურებს იმას, რომ ამ საკითხის სიღრმისეულად გაანალიზება მხოლოდ დოქტრინაში არ ჰპოვებს გამოხატულებას, არამედ, სასამართლოც დაინტერესებულია სამართალწარმოებისას, რომ ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტების სწორად გაანალიზება და მართებულად გამოყენება მოხდეს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

I. სუბროგაციის არსი, წარმოშობა და მისი განვითარების ისტორიული ეტაპები

1.1. სუბროგაციის ცნება

"სუბროგაცია" (Latin– subrogatus) ლათინური წარმოშობისაა და "ჩანაცვლებას" ნიშნავს. აღნიშნული ტერმინი "სუროგატისგან" მომდინარეობს[1] და სიტყვასიტყვით „ერთი საგნის მეორით ჩანაცვლებას ნიშნავს".[2] ოქსვორდის უნივერსიტეტის სამართლის ლექსიკონი სუბროგაციას განმარტავს, როგორც ერთი პირის მეორეთი ჩანაცვლებას იმგვარად, რომ ამ უკანასკნელს მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშობა.[3] აღნიშნული ტერმინი ძირითადად ანგლოსაქსური სამართლის სისტემაში გამოიყენება, ხოლო კონტინენტურ ევროპის სამართალში განსხვავებული ტერმინი გვხვდება, როგორიცაა - cession legis.[4] სუბროგაციის დეფინიცია გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან თვით იმ ქვეყნებში, რომლებიც მისი დოქტრინის სამშობლოდ მიიჩნევიან, სუბროგაცია არა როგორც უფლება, არამედ როგორც პრინციპი განიხილება.[5]

სუბროგაციის ინსტიტუტი ძირითადად სადაზღვევო და საბანკო სფეროებში გამოიყენება. სუბროგაციის დროს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში ძველი კრედიტორის ადგილს ახალი კრედიტორი იკავებს და ამ უკანასკნელს თავის სასარგებლოდ მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშობა.[6] „Stepping into the shoes" პრინციპის[7] თანახმად, სუბროგაციის ინსტიტუტი სადაზღვევო კომპანიას ნებას რთავს, დამზღვევის ნაცვლად მოთხოვნის უფლება თავად გამოიყენოს, რის საფუძველზეც მზღვეველი კომპენსაციის უკან დაბრუნების მოთხოვნისას იგივე უფლებებით და სამართლებრივი მდგომარეობით ისარგებლებს.[8] იქედან გამომდინარე, რომ სუბროგაციის უფლებები სრულად ნაწარმოებია, მზღველს მესამე პირის მიმართ იმაზე მეტის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია, ვიდრე დამზღვევს.[9]

სადაზღვევო ხელშეკრულების ძირითადი მიზანია, ერთის მხრივ, რომ კომპანიამ შემოსავალი მიიღოს და მეორეს მხრივ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევს მიყენებული ზიანი აუნაზღაურდეს. მნიშვნელოვანია, რომ მზღვეველის მიერ დამზღვევის დაცვამ,

---

[1] *Kozubovska D.*, "Subrogation In Insurance: Theoretical And Practical Aspects," Vilnius, 2010, Pg.8

[2] *Kagan J.,* "Subrogation", 2019, იხ. https://www.investopedia.com

[3] *Kozubovska D.*, "Subrogation In Insurance: Theoretical And Practical Aspects," Vilnius, 2010, Pg.8

[4] *Велов В.А,* Сингуларное Провопреемство В Обязателстве, 2007, გვ. 2.

[5] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება", სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 32.

[6] *ამირანაშვილი გ.*,"სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა", სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, გვ. 20.

[7] *Kozubovska D.*, „Subrogation In Insurance: Theoretical And Practical Aspects", Vilnius, 2010, Pg.18.

[8] *Julia K.,* Subrogation, 2019, იხ. https://www.investopedia.com

[9] *ELS LEGAL,* „The equitable remedy of subrogation", იხ: http://els-law.co.uk

გარკვეულწილად არ „მოადუნოს“ ზიანის მიმყენებელი.[10] „Made whole“-ს პრინციპის თანახმად, დამზღვევის ზიანი სრულად უნდა იქნეს ანაზღაურებული, მანამ სანამ სადაზღვევო კომპანია აღძრავს სარჩელს ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ.[11]

გამომდინარე იქედან, რომ სუბროგაციის შედარებით ახალი ინსტიტუტია, იგი ნაკლებად არის დაინტერესების სფერო.[12] აღსანიშნავია, რომ საქართველოში მსგავსად გერმანული სამართლისა და განსხვავებით ინგლისური, ამერიკული და ფრანგული სამართლისგან, ტერმინი სუბროგაცია არცერთ საკანონმდებლო აქტში არ გამოიყენება. გერმანელი კანონმდებელი იმ ურთიერთობას, რომელსაც სუბროგაციის დოქტრინა მოიცავს, კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემას უწოდებს.[13]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სუბროგაცია შემდეგნაირად განიმარტება - „თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს“.[14] „ნორმა განსაზღვრავს მზღვეველის შესაძლებლობას, ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში დაიკმაყოფილოს საკუთარი ინტერესი დაზარალებული პირის მოთხოვნის უფლების ხარჯზე.“[15]

1.2. სუბროგაციის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის სამართალში

სუბროგაციის ინსტიტუტს საფუძველი ძველ რომში ჩაეყარა.[16] რომაული სამართლის საფუძველზე, სუბროგაციის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის სამართალში ჩამოყალიბდა, როგორიც არის ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი, რუსეთი და სხვა.[17]

---

[10] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია, როგორც მზღვეველის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 42.

[11] *Epstein Howard*, *Keyes Theodore,* „Subrogation: Primer and Recent Environmental Cleanup Cases“, 2015,
New York Law Journal, იხ: https://www.law.com

[12] *იქვე.*

[13] *მოწონელიძ ნ.,* „სუბროგაცია, როგორც მზღვეველის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 38.

[14] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 832, თბილისი, 2018, გვ. 220.

[15] *ნიავაძე ნ.,* „სუბროგაცია და რეგრესი დაზღვევის სამართალში, შედარებითი სამართლებრივი ანალიზი“, თბილისი, 2012, გვ. 24.

[16] *Kozubovska D.,* ‘Subrogation In Insurance: Theoretical And Practical Aspects,” Vilnius, 2010, Pg.10

[17] *Щербакова, А.Ю.,* „Понятие и природа суброгацииб„ Мудрий Юрист #9, 2008, იხ. https://wiselawyer.ru

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისის სამართალში სუბროგაცია რომის სამართლიდან დამკვიდრდა. მას საფუძველი ორმა გახმაურებულმა საქმე კერძოდ, Randall vs. Cochran (1748) და Mason vs. Sainsbury (1782) ჩაუყარა.[18] ამრიგად, 1782 წლიდან ინგლისის სასამართლოებმა სუბროგაციის პრინციპი აღიარეს და იყენებდნენ მას, ისე, თითქოს ის მუდამ ინგლისის სამართლის შემადგენელი ნაწილი იყო.[19] საბოლოოდ სუბროგაციის ინსტიტუტის სრულყოფილად ჩამოყალიბება და განავითარა Lord Mansfield[20] ეკუთვნის, რომელიც შემდგომ „სადაზღვეო სამართლის მამად" არის წოდებული.[21]

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის თანახმად, სუბროგაციის ინსტიტუტის მიმართ, განსხვავებით ანგლოსაქსური ქვეყნებისა, სხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ მოთხოვნის უფლება გადადის მზღვეველზე იმ შემთხვევაში, თუ "დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ..."[22]

მოგვიანებით, სუბროგაციის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის სამართლის სისტემაში სწრაფად გავრცელდა და ამჟამად, ძირითადად სადაზღვევო და საბანკო სამართალის სფეროებში გამოიყენება.

1.2.1 სუბროგაციის დოქტრინა რომის სამართალში

რომის სახელმწიფოებრიობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ძველი სამყაროს უდიდესი მონაპოვარი - რომის სამართალი არის.[23] ფაქტიურად თანამედროვე ცივილიზაციების კერძო სამართლის არსებობა მის გარეშე წარმოუდგენელია.[24]

„რომის კერძო სამართლის (ius privatum) განუყოფელ ნაწილს რომაული თემის - civitas Romani სამართალი - ius civile და რომის იმპერიაში შემავალი მრავალრიცხოვანი ხალხის სამართალი - ius gentium წარმოადგენდა."[25]

---

[18] *იქვე.*

[19] *Marasinghe, M. L.* „An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation": The Early History of the Doctrine I, 10 Val. U. L. Rev. 45, 1975.

[20] იხ. https://www.britannica.com

[21] *John J. O'Brien.* "The origins of subrogation" / O'Brien & Hennessy education series topic http://www.subrogation.net/edu/edu1.doc

[22] Пункт 1 статьи 965 Гражданского кодекса Российской Федерации (часть вторая). Принят 26 января 1996 г. N 14-ФЗ // Собрание законодательства РФ. 1996. N 5. Ст. 410. Здесь и далее законы используются с изменениями на 1 мая 2007 г.

[23] *გარიშვილი, მ., /ხოფერია მ.,* რომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2013, გვ. 2.

[24] *გარიშვილი, მ., /ხოფერია მ.,* რომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, 2013, გვ. 2.

[25] *იქვე.* გვ. 3.

რომის სამართლის თანახმად, სამსუბიექტიან ურთიერთობაში სუბროგაცია ახორციელებდა რესტუტიციას, როდესაც ერთ-ერთი მხარის უსაფუძვლოდ გამდიდრების საშიშროება არსებობდა.[26] ამრიგად, ძველი რომის სამართლის მიხედვით, სუბროგაცია რესტიტუციის ფორმას ატარებდა,[27] თუმცა მეორე მოსაზრების თანახმად, სუბროგაციას არა რესტიტუციული, არამედ ცესიური ბუნების მატარებელი იყო, ანუ ეს კრედიტორის ჩანაცვლების განსაკუთრებული შემთხვევა იყო - "cessio actorium, cessio nominum: subrogation"[28]

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, რომაული სამართლის მკვლევარი, William Buckland[29] აღნიშნავდა, რომ ინგლისის საერთო სასამართლოში, სუბროგაციის ინსტიტუტს კოდიფიკაციამდე ისე იყენებდნენ, რომელიც რომაული სამართლისათვის უცხო მოვლენა გახლდათ.[30]

„რომაულ სამართალში სუბროგაცია ცნობილი იყო, როგორც კონსტიტუციურ - სამართლებრივი ტერმინი“.[31] იგი აღწერდა პროცესს, რომლის დროსაც ერთი თანამდებობის პირი, ან ერთი ქმედება ანაცვლებდა მეორეს.[32] მაგალითად, თუ კრედიტი ბრუტუსს გადაუხადა კლაუდიამ ცეზარის ნაცვლად, ამ შემთხვევაში კლაუდია ბრუტუსის ადგილს იკავებს და უფლებას იძენს დაიბრუნოს გადახდილი თანხა ცეზარისაგან.[33]

რომაული სამართალი უფლების კანონის ძალით გადაცემას არ იცნობდა, მანამ სანამ არ განხორციელდებოდა ხელშეკრულების მხარისთვის უფლებათა ფაქტობრივი გადაცემა, მას მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობოდა.[34]

რომაულმა სამართალმა ასევე პრინციპი "Nemo plus iuris ad alium transmere quere" დაფუძნდა, რაც ნიშნავს, რომ არავის შეუძლია გადასცეს იმაზე უფრო

---

[26] *Michael Ian Jackson,* (LL.M. 1998) UBC Law Theses and Dissertation Abstracts იხ. http:www.library.ubc.ca/law/abstracts/Jackson.htm

[27] *Щербакова, А.Ю.,* „Понятие и природа суброгацииб„ Мудрий Юрист #9, 2008, იხ. https://wiselawyer.ru

[28] *Charles Phineas Sherman,* ‘Roman Law in the Modern World”, Published 1917. Boston Book Co. (Digitized. 30 May 2006); Pg. 418, იხ. http://books.google.com

[29] იხ. https://www.asa3.org

[30] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 18.

[31] *იქვე.*

[32] *Buckland W.W.,* „Equity in Roman Law“, Published by University of London Press, Pub. for the University of London Press, ltd., by Hodder&Stoughton, London, 1911. *ციტ: მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ.18.

[33] *O'Brien J.*, „The origins of subrogation“/O'Brien & Hennesy education series topic; 2010, იხ. www.subrogation.net

[34] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 18.

მეტი უფლებები, ვიდრე საკუთარმა თავმა.[35] რომის სამართლის პრინციპი დღემდე უცვლელი რჩება და მისი მოდიფიცირებული ვარიანტი გვევლინება ლიტვის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსშიც.[36]

ამრაგად, სუბროგაციის ინსტიტუტს რომაულ სამართალში ჩაეყარა საფუძველი. დღეის მდგომარეობით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სამართალი რომაულ სამართალს ეფუძნება, შესაბამისად, სუბროგაციის პრინციპიც სწორედ რომაულ სამართალიდან გამომდინარეობს.[37]

1.2.2 სუბროგაციის დოქტრინა ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში

ამერიკის შეერთებული შტატები ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ნაწილია,[38] შესაბამისად, სუბროგაციის ინსტიტუტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისიდან დამკვიდრდა და მოგვიანებით, აღნიშნული ინსტიტუტი არსებით დოქტრინად გამოცხადება აშშ-ს მიერ.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ამერიკის შეერთებულ შტატებში სუბროგაციის დოქტრინას საფუძველი ჩაეყარა, რაზეც ძირეული გავლენა ერთ-ერთმა გახმაურებულმა საქმემ მოახდინა, კერძოდ, Aetna Life Insurance Company vs. The town of Middleport (1888).[39] ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სუბროგაცია განიხილებოდა, როგორც მზღვეველის მიერ დამზღვევის შეცვლა მესამე პირების წინააღმდეგ, რომელმაც ზიანი მიაყენა დამზღვევს, ხოლო მზღვეველმა კომპენსაციის სახით აღნიშნული აუნაზღაურა დამზღვევს.[40] სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სუბროგაციის ინსტიტუტი ყველა იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, როდესაც ვალი ან ვალდებულება იმ პირის მიერ სრულდებოდა, რომლის პირდაპირი ვალდებულებას აღნიშნული არ წარმოადგენდა.[41]

ამერიკის შეერთებულ შტატებში სუბროგაცია სამართლიანობასთან ასოცირდება, რომელიც დაზღვეულს საშუალებას აძლევს იქნეს დაცული და მესამე პირების წინააღმდეგაც შეიძინოს უფლებები, ამასთან, სანამ პირი არის

---

[35] *Ambrasienė D.,/Baranauskas E.,* "Cirtautienė S. ir kiti. Civilinė teisė. Prievolių teisė: vadovėlis: ketvirtoji laida." Vilnius: Mykolo Romerio universiteto Leidybos centras, 2009, Pg. 77.

[36] Lietuvos Respublikos Civilinis Kodeksas//Valstybės žinios. 2000, Nr. 74-2262.

[37] *Kozubovska D.,* "Subrogation In Insurance: Theoretical And Practical Aspects," Vilnius, 2010, Pg.13

[38] *Щербакова, А.Ю.,* „Понятие и природа суброгацииб„ Мудрий Юрист, #9, 2008, იხ. https://wiselawyer.ru

[39] Aetna Life Insurance Company vs. The town of Middleport. U.S. Supreme Court decision 124 U.S. 534, 1888, იხ. http://supreme.justia.com/us/124/534/case.html.

[40] *John J. O'Brien.,* "The origins of subrogation" / O'Brien & Hennessy education series topic, 2003, Pg. 10. იხ. http://www.subrogation.net/edu/edu1.doc.

[41] *John J. O'Brien.,* "The origins of subrogation" / O'Brien & Hennessy education series topic, 2003, Pg. 10. იხ. http://www.subrogation.net/edu/edu1.doc.

დაზღვეული იგი როგორც ყველა უფლებას, შეზღუდვასა და ვალდებულებას იძენს.[42] აქედან გამომდინარე, დაზღვეულსა და მესამე მხარის შორის არსებული ურთიერთობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს ურთიერთობა განსაზღვრავს დამზღვევის უფლებებს და მოვალეობებს.[43]

ანგლოსაქსური სამართლის სისტემაში ჩამოყალიბებულია ეგრეთ წოდებული იურიდიული ფორმულა ჩამოყალიბდა, კერძოდ: თუ A-ს აქვს B-ს მიმართ ვალდებულება, რომელსაც შეასრულებს C, მაშინ B გადასცემს C-ს მოთხოვნის უფლებას A-ის მიმართ.[44]

ორი საუკუნის მანძილზე, სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, ინგლისსა და ამერიკაში სუბროგაციის შესახებ გარკვეული პრინციპები, დამკვიდრდა, როგორიცაა:[45] 1) მზღვეველს არ აქვს უფლება დაიკავოს დამზღვევის ადგილი, მანამ სანამ, მას მიყენებულ ზიანს არ აუნაზღაურებს, 2)მზღვეველს შეუძლია დაზღვეულის ადგილი დაიკავოს და განახორციელოს მასზედ გადასული მხოლოდ ის უფლებები, რომელიც დამზღვევს ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ გააჩნდა; 3) მზღვეველს არ აქვს უფლება მოგების მიღების მიზნით, სუბროგაციის უფლება გამოყენოს მესამე პირის წინააღმდეგ, თუმცა სუბროგაციის პრინციპიდან გამომდინარე, მას მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ გააჩნია იმ ოდენობით, რაც დამზღვევს კომპენსაციის სახით გადაუხადა და არა ამაზე მეტი; 4) მზღვეველი დამზღვევს არ აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, იმ შემთხვევაში, თუ ზიანის არსებობის შემთხვევაში დამზღვევი მესამე პირს მოთხოვნას არ წაუყენებს.[46]

---

[42] *Terrence R.,* Joy, Esq. "Legal And Practical Subrogation Issues In The U.S.A"; Pg. 3, იხ. http://www.imc-seminars.com

[43] *იქვე.*

[44] *John F. Dobbyn.,* "insurance law in a Nutshell", West Group, 1996, Pg. 282.

[45] *Щербакова, А.Ю.,* „Понятие и природа суброгацииб„ Мудрий Юрист, #9, 2008, იხ. https://wiselawyer.ru

[46] General principles of insurance law, Materials University of the Witwatersrand, School of economic and business sciences (Buse 221). Insurance and risk management IIA Course notes, 2006, იხ. http://sunsite.wits.ac.za/sebs/downloads/2006

1.2.3 სუბროგაციის დოქტრინა გერმანულ სამართალში

გერმანულ სამართალში, განსხვავებით ამერიკულისა და სხვა ქვეყნის სამართლისაგან, ტერმინი სუბროგაცია არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის გამოყენებული.[47] გერმანული სამართალი, აღნიშნულ ურთიერთობას, მას კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემად მოიხსენიებს.[48]

გერმანიაში მოთხოვნის უფლების გადაცემის მარეგულირებელი ნორმა პირველად სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ 1908 წლის კანონით იქნა შემოღებული. ამ კანონის 67-ე პარაგრაფი მზღვეველზე დამზღვევის მოთხოვნის უფლების კანონის ძალით გადასვლას აწესრიგებს.[49] „გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ 1908 წლის კანონის 67-ე პარაგრაფის შემოღების უმთავრეს მიზნად და ამოცანად კანონმდებელი იმ ფაქტს ასახელებდა, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება და მზღვეველის ხარჯზე ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ უნდა მომხდარიყო.“[50]

2008 წლის 1 იანვარს გერმანიაში სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ ახალი კანონი ძალაში შევიდა, თუმცა მიუხედავად, ძირეული რეფორმისა, კანონის ძველი რედაქციის 67-ე პარაგრაფი ახალ რედაქციაში კანონმდებელმა თითქმის უცვლელად გადმოიტანა და კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადასვლა 86-ე პარაგრაფით დაარეგულირა, ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა კანონის ახალ რედაქციაში ტერმინ „სუბროგაცია“ არ გამოყენა.[51]

1.2.4 სუბროგაციის დოქტრინა ქართულ სამართალში

სამოქალაქო კოდექსში სუბროგაციის ინსტიტუტის გამოვლინებას სადაზღვევო სამართლის მომწესრიგებელ ნორმებში, კერძოდ, 832-ე მუხლში ვხვდებით. სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განმარტავს, რომ თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის

---

[47] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 28.

[48] *იქვე.*

[49] *იქვე.*

[50] *Möller/Segger, in: Langheid/Wandt,* Münchener Kommentar, §§1-99 Systematische Darstellungen. München, 2010, §86, Rn. 17, *ციტ: მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი თბილისი, 2015, გვ. 28.

[51] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 29.

უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს.[52] ამასთან, სსკ-ის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სუბროგაციის უფლების გამოყენება დაუშვებელია, თუ დამზღვევის უფლება ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ეხება დამზღვევთან მცხოვრებ ოჯახის წევრს, რომელიც განზრახ მოქმედებდა.[53] იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული ნორმა ხარვეზულია და იგი შემდეგნაირად უნდა იყოს ფორმულირებული, კერძოდ, „როცა ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ არ გამოიწვია."[54]

სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სუბროგაციის პრინციპს ორი დადებითი დატვირთვა აქვს, პირველი დამზღვევს ეძლევა საშუალება დაზოგოს დრო და სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე სადაზღვევო კომპანიისგან კომპენსაცია მიიღოს და მეორე მზღვეველს ეძლევა უფლება ზიანის მიმყენებელი პირისაგან მოახდინოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება.[55]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მზღვეველზე მოთხოვნის უფლება იმ სადაზღვევო საფასურის ფარგლებში გადადის, რაც დამზღვევს ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ გააჩნია.[56]

ამრიგად, ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში ძველი კრედიტორის ადგილს იკავებს ახალი კრედიტორი იკავებს, ანუ დამზღვევის ჩანაცვლება ხდება მზღვეველის მიერ, რომელსაც დამზღვევისათვის კომპენსაციის გადახდის შემდგომ წარმოეშვება მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ.[57] მოცემულ ვითარებაში, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსისა და ხასიათის არ იცვლება, თუმცა, იცვლება ურთიერთობის კრედიტორი, კერძოდ დამზღვევის ადგილს სადაზღვევო კომპანია იკავებს.[58]

---

[52] *ბენაშვილი ქ.,* „სუბროგაციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი მიმართება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან", სიფას ჟურნალი #5, 2018, გვ. 96

[53] *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის კომენტარი, გვ. 5. ველი 21, იხ. www.GCCC.ge

[54] *ცისკაძე მ.,* სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, 2001, მუხლი 832, გვ. 153.

[55] *ნიავიაძე ნ.,* „სუბროგაცია და რეგრესი დაზღვევის სამართალში, შედარებითი სამართლებრივი ანალიზი", თბილისი, 2012, გვ. 24.

[56] საქართველოს უზენაესი სასამრთლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-581-549-2011, იხ. http://www.supremecourt.ge

[57] *ბენაშვილი ქ.,"* სუბროგაციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი მიმართება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან", სიფას ჟურნალი #5, 2018, გვ. 96

[58] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-581-549-2011, იხ. http://www.supremecourt.ge

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი არ ითვალისწინებს რეგრესული მოთხოვნის უფლებას.[59]დელიქტურ ვალდებულებაში აღნიშნული ითვალისწინებს კრედიტორის შეცვლას და არა რეგრესული მოთხოვნის უფლებას, რადგან ვალდებულების არსი, მოთხოვნის ოდენობა და ხანდაზმულობის ვადები უცვლელი რჩება და იცვლებიან მხოლოდ კრედიტორები.[60]

საკასაციო სასამართლოს დასაბუთებით, სსკ-ის 832-ე მუხლი ითვალისწინებს „ორმაგი მოთხოვნის უფლების რეალიზაციის განსხვავებულ წესს,"[61] ვინაიდან, აღნიშნული მუხლის თანახმად, სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თუ დამზღვევს ზიანის ანაზღაურების თაობაზე შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, ანუ ზიანის მიმყენებლ პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე.[62]

სადაზღვევო კომპანიები იყენებენ სუბროგაციის უფლებას იმ მიზნით, რომ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად კომპანიის მიერ გადახდილი თანხების უკან დაბრუნება უზრუნველყონ, რის საფუძველზეც არსებულ სარეზერვო ბიუჯეტს ავსებენ.[63]

II. სუბროგაციის ინსტიტუტი სადაზღვევო სამართალში

2.1 დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლები

მეთექვსმეტე საუკუნეში ზღვაში გემების და ტვირთის დაკარგვამ სადაზღვევო სამართალის განვითარებას საფუძველი ჩაუყარა.[64] შესაბამისად,

---

[59] *ბენაშვილი ქ.,* „სუბროგაციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი მიმართება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან", სიფას ჟურნალი #5, 2018, გვ. 96.

[60] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-663-624-2011, იხ. www.supremecourt.ge

[61] *ბენაშვილი ქ.,* „სუბროგაციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი მიმართება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან", სიფას ჟურნალი #5, 2018, გვ. 97

[62] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-663-624-2011, იხ. www.supremecourt.ge

[63] *Pally S. D., Lewis A. D.,* "Subrogation Waivers", Constuction Lawyer, Volume 31, Issue 4, 2011, Pg. 6. *ციტ: ბენაშვილი ქ.,* „სუბროგაციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი მიმართება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან", სიფას ჟურნალი #5, 2018, გვ. 96.

[64] *Babiker A.,* "Some Aspects of the Doctrine of Subrogation in Insurance law", 2006, Pg.8, იხ. https://core.ac.uk/download/pdf/

საზღვაო დაზღვევა - დაზღვევის პირველი სახეა.[65] 1666 წელს ლონდონში დიდი ხანძრის შემდგომ დაზღვევის ახალი ტიპი დამკვიდრდა, რომელიც უბედური შემთხვევით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებას გულისხმობდა,[66] კერძოდ ხანძრის შედეგად გამოწვეული ზიანის დაზღვევა. საავტომობილო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დაზღვევის მომდევნო სახეა, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში უკვე სიცოცხლის დაზღვევა არსებობდა.[67] ამჟამად ყველა სავარაუდო შემთხვევა სადაზღვევო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.[68]

საერთაშორისო დოქტრინაში დაზღვევა სამართლებრივი და მარეგულირებელი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად არის მიჩნეული.[69] აღნიშნულიდან გამომდინარე გლობალურად შესაძლებელია გარკვეული სახის ზიანის პრევენცია, ხოლო იმ ტიპის ზიანისათვის, რომლის პრევენციაც შეუძლებელია გამოიყენება დაზღვევა - როგორც ანაზღაურების მექანიზმი.[70]

საქართველოს უზენაესი სასამართლო 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე განმარტავს, რომ „დაზღვევა შესაძლოა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს და ამიტომ დაზღვევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად განიხილება.“[71]

2.2 დაზღვევის ეკონომიკური საფუძვლები

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კუთხით დაზღვევას მნიშვნელოვანი სეგმენტი უკავია და იგი უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების წარმართვას. ამასთანავე, დაზღვევას უდიდესი მნიშვნელობა სამართლებრივი კუთხითაც ენიჭება. დაზღვევის ეკონომიკური საწყისების გაანალიზება საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ეკონომიკური

---

[65] *Eltayeeb A.,* “Subrogation in insurance”. Training & legal reform institute, 1997, Pg. 9.

[66] *Babiker A.,* ‘Some Aspects of the Doctrine of Subrogation in Insurance law”, 2006, Pg. 8, იხ. https://core.ac.uk/download/pdf

[67] *იქვე.*

[68] *იქვე.*

[69] *ირემაშვილი ქ.,* “მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში”, სადისერტაციო ნაშრომი, 2016, გვ. 15.

[70] *Priest G.,* “The Current Insurance Crisis and Modern Tort Law”, “Yale Law Journal”, 1987, Pg.8, *ციტ: ირემაშვილი ქ.,* “მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, სადისერტაციო ნაშრომი, 2016, გვ.15.

[71] საქართველოს უზენაესი სასამრთლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე Nას-663-624-2011, იხ. www.supremecourt.ge

ცნებების გაანალიზების გარეშე მისი როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის სრულყოფილი ანალიზი შეუძლებელია.[72]

2.3 სუბროგაციის დოქტრინის წარმოშობის ფორმალური და სამართლებრივი საფუძვლები სადაზღვევო სამართალში

სუბროგაციის წარმოშობის ორი საფუძველი არსებობს - სამართლებრივი და ფორმალური საფუძველი.[73] უფრო ზუსტად პირველ საფუძვლად გამოიყოფა ხელშეკრულება, ხოლო სუბროგაციის წარმოშობის მეორე საფუძველია კანონის მითითება.[74] ხელშეკრულების საფუძველზე სუბროგაცია იმ შემთხვევაში წარმოიშობა, თუ სადაზღვევო ხელშეკრულება სუბროგაციის უფლების მინიჭების თაობაზე არის მითითებული.[75]

სუბროგაციის წინააღმდეგ ერთ-ერთ საქმის განხილვისას, სადაზღვეო კომპანიამ განმარტა, რომ თუ სადაზღვეო კომპანია პოლისიდან გამომდინარე დამზღვევს აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, რომელსაც მესამე პირის მიმართ წარმოეშობა მოთხოვნის უფლება, ეს უკანასკნელი მოთხოვნის უფლებას უთმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადაზღვევო კომპანიას.[76] სხვა შემთხვევაში სუბროგაცია კანონის საფუძველზე წარმოიშობა.[77] კანონის საფუძველზე თანაბარი სუბროგაცია წარმოიშობა, ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ სუბროგაციის უფლების მინიჭების შესახებ ხელშეკრულებაში რეალური მითითება არ არსებობს.[78] იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი სუბროგაცია კანონის ძალით წარმოიშობა, მას ხშირად როგორც „იურიდიულ ან კანონისმიერ სუბროგაციას უწოდებენ.[79] ამასთან, არსებულ ვითარებაში, ახალ

---

[72] *ირემაშვილი ქ.,* "მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში", სადისერტაციო ნაშრომი, 2016, გვ.16.

[73] *Щербакова, А.Ю.,* „Понятие и природа суброгацииб„ Мудрий Юрист #9, 2008, იხ. https://wiselawyer.ru

[74] *Eric J. Pickar.,* Westfield insurance company, inc. vs. Rowe: The South Dakota Supreme Court rejects the Common law "Made whole" doctrine on a property insurance. South Dakota Law Review; 2002, 47 S.D.L. rev. 316; http://direct.bl.uk/bld

[75] *იქვე.*

[76] The Case against subrogation http://www.umt.edu

[77] *Bhandari N.,* „Doctrine of subrogation and its uses in contract of guarantee", International Journal Of Advance Research and Development, 2018, Pg. 29, იხ. https://www.ijarnd.com

[78] *Eric J. Pickar.,* Westfield insurance company, inc. vs. Rowe: The South Dakota Supreme Court rejects the Common law "Made whole" doctrine on a property insurance // South Dakota Law Review; 2002, 47 S.D.L. rev. 316; http://direct.bl.uk/bld

[79] *იქვე.*

კრედიტორზე მოთხოვნის უფლება „ავტომატურად“ კანონის ძალით გადადის.[80]

აღსანიშნავია, რომ სუბროგაციის უფლების წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი ქვეყნების მიხედვითაც განსხვავდება, თუმცა მათი უმეტესობა კანონის ძალით სუბროგაციას ირჩევს. ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, კანონის საფუძველზე წარმოშობილი სუბროგაცია ყურადღების ცენტრში მოექცა, კერძოდ, საქმე ეხებოდა სახელმწიფოსა და თამბაქოს ინდუსტრიულ კომპანიას, რის საფუძველზეც სახელმწიფომ სუბრორგაციის პრინციპიდან გამომდინარე მილიარდი დოლარი დაიბრუნა, რომელიც გადახდილი ჰქონდა მოქალაქეთა მკურნალობის მიზნით, ვინც თამბაქოს მოხმარების შედეგად არის დაზარალებული.[81]

ძირითადად ანგლოსაქსური სახელმწიფოები იცნობენ სუბროგაციის წარმოშობის როგორც ჩვეულებრივ, ისე კანონიერ საფუძველს. დიდ ბრიტანეთში კანონის ძალით სუბროგაციას „Equitable Subrogations-ს“, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში - „Statutory Subrogation-ს“ უწოდებენ, შესაბამისად, დიდ ბრიტანეთში სუბროგაციას სამართლიანობის პრინციპი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში - კანონი უდევს საფუძვლად.[82] მიუხედავად ამისა, მათ შორის განსხვავება არ არსებობს, ისინი „თანაბარი უფლებებით“ გამოიყენება, მხოლოდ უფლების საფუძველში არის განსხვავება.[83] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს პრეცედენტული სასამართლოს პრაქტიკაც, კერძოდ საქმეზე Higginbotham v. Arkansas Blue Cross & and Blue Shield (1993)[84] სასამართლომ განმარტა, რომ თანასწორობის ბუნებიდან გამომდინარე არ უნდა არსებობდეს არანაირი განსხვავება კანონისმიერ და ჩვეულებრივ სუბროგაციას შორის.[85]

საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ ხდება უფლების გადასვლის მექანიზმის რეგულირება, რაზედაც შემდეგი პასუხი არსებობს, კერძოდ, უფლების გადასვლა არსებულ ვითარებაში ფიქციის საშუალებით ხორციელდება, როდესაც ერთი მხარე (subrogee) იკავებს მეორე სუბიექტის ადგილს (subrogor)[86] და ამ უკანასკნელისგან ეძლევა უფლება, რომ

---

[80] *Bhandari N.,* ‘Doctrine of subrogation and its uses in contract of guarantee”, International Journal Of Advance Research and Development, 2018, Pg. 29, იხ. https://www.ijarnd.com

[81] *John J. O'Brien.* “The origins of subrogatio“/ O'Brien & Hennessy education series topic, http://www.subrogation.net/edu/edu2.doc

[82] *Щербакова А.Ю.,* “Понятие и природа суброгации”, Мудри Юрист, #9, 2008, იხ. https://wiselawyer.ru

[83] *იქვე.*

[84] Curtis Lee Franklin, Jr. v. Healthsource of Arkansas (96-116, S.W.2d). Supreme Court of Arkansas Opinion delivered April 21, 1997; www.courts.state.ar.us/opinions/1997a/970421/96-116.html

[85] *იქვე.*

[86] *Gregory R. Veal.* ‘Subrogation: the duties and obligations of the insured and rights of the insurer revisited”, Aba Tort & insurance law journal (Fall 1992), Pg.70, http://findlaw.com

პასუხისმგებელი პირისაგან მოითხოვოს გადახდილი კომპენსაციის ანაზღაურება.[87]

გერმანელი კანონმდებელი სამოქალაქო ბრუნვის მეტი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად კანონის ძალით მოთხოვნის უფლების გადაცემაზე მოთხოვნის დათმობის მიმართ მოქმედ ნორმებს ავრცელებს[88] და ამით, კანონის ძალით მოთხოვნის დათმობას ფორმალურ ჩარჩოებში აქცევს.[89] კანონმდებელი აუცილებლად მიიჩნევს გსკ-ის 403-ე პარაგრაფის დაცვას, რომელიც თავდაპირველი კრედიტორის მიერ ახალი კრედიტორისთვის მოთხოვნის დათმობის თაობაზე დამოწმებული დოკუმენტის გადაცემას ითვალისწინებს.[90] ამრიგად, გერმანულ სამართალში სუბროგაციის უფლების განხორციელების აუცილებელი პირობაა, რომ დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ოფიციალური დოკუმენტის გადაცემა მოხდეს.[91] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლი მსგავსად გსკს-ის 403-ე პარაგრაფისა მოთხოვნის დათმობისათვის თავდაპირველი კრედიტორის მიერ ახალი კრედიტორისათვის სათანადო წესით დამოწმებული საბუთის გადაცემას მოითხოვს.[92]განსხვავებით გერმანული სამოქალაქო კოდექსისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ახალი კრედიტორის მიერ მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ მოვალის ოფიციალური შეტყობინების ვალდებულებას არ ადგენს.[93] გერმანული სამართლის მსგავსად ქართული კანონმდებლობით მიზანშეწონილია დაცულ იქნეს მოვალის ინტერესები და იმპერატიულად განისაზღვროს უფლებამონაცვლეობის თაობაზე მოვალის ოფიციალური შეტყობინების ვალდებულება.[94]

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ამ ტერმინს 965-ე მუხლის სათაურში იყენებს.[95] დღეს მოქმედი რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სადაზღვევო საზღაურის გაცემის შემდეგ, რეგრესული

---

[87] *Щербакова А.Ю.,* "Понятие и природа суброгации", Мудри Юрист, #9, 2008, იხ. https://wiselawyer.ru

[88] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 49.

[89] Hormuth, in: Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. vollständige Auflage, Verlag C.H. Beck München, 2009, §22, Rn. 63. *ციტ: მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 49.

[90] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 49.

[91] *იქვე.*

[92] *იქვე.*

[93] *იქვე.*

[94]მოწონელიძე ნ., „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, "სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 50.

[95]*ამირანაშვილი გ.,* "ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან", (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 94

ვალდებულება კი არ წარმოიქმნება, არამედ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას.[96] ასეთ დროს ხდება პირების შეცვლა ვალდებულებით ურთიერთობაში კანონის საფუძველზე, კრედიტორის უფლებების სხვა პირზე გადასვლის გზით.[97]

ბელორუსის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 855-ე მუხლი განმარტავს, რომ თუ სადაზღვევო ხელშეკრულებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული, მას შემდეგ, რაც სადაზღვევო კომპანია დამზღვევს მიყენებულ ზიანს აუნაზღაურებს, ამ უკანასკნელს წარმოეშობა ვალდებულება მზღვეველს გადასცეს მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ, ამასთან ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია.[98] აღნიშნულ პროცესს სუბროგაცია ეწოდება, რომელიც „სუბროგაციის განსაკუთრებულ ვალდებულებად“ მოიხსენიებენ.[99] კანონმდებელი განმარტავს, რომ სუბროგაცია მხოლოდ ქონების დაზღვევას ეხება და სხვა სახის დაზღვევის დროს არ გამოიყენება.[100]

ქართველმა კანონმდებელმა ევროპული ქვეყნების გამოცდილება გაიზიარა და სუბროგაციის უფლების წარმოშობას საფუძვლად კანონი დაუდო. თუ გავითვალისწინებთ სუბროგაციის დოქტრინის თავისებურებას, რომელიც მის „ავტომატურ“ ხასიათში ვლინდება, ბუნდოვანი ხდება, თუ რატომ უკავშირებს ქართველი კანონმდებელი მზღვეველის სუბროგაციის უფლებას დამზღვევის ნებას.[101]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტერმინი სუბროგაცია არ გვხდება, თუმცა დაზღვევის მარეგულირებელ ნორმებში, კერძოდ, სსკ-ს 832-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მისი შინაარსია გადმოცემული.[102] ამ დებულების თანახმად, „თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუ ის დამზღვევს ზიანს უნაზღაურებს.“ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მზღვეველმა სუბროგაციის უფლება არ უნდა გამოიყენოს დამზღვევისათვის ზიანის

---

[96] *ამირანაშვილი გ., “ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან”, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 94*

[97] *იქვე.*

[98] *ამირანაშვილი გ.,* “ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან”, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 94

[99] *Мороз В.П.,* Регресс и Страховая Суброгация: Обшнастй и Различия, судовний весникб №3, 2012.

[100] *იქვე.*

[101] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 47.

[102] *ამირანაშვილი გ.,* „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან“, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 94.

მიყენების კუთხით.[103] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამზღვევს ევალება გადასცეს მზღვეველს ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობას ზიანის დადგომაში.[104]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მეორე ნაწილი ერთგვარად ხარვეზულია.[105] აღნიშნული ნორმიდან ისე გამოდის, „თითქოს დამზღვევის ოჯახის წევრის მიერ გამოწვეული ზიანის შემთხვევაში, თუნდაც ამ უკანაკნელის მხრიდან განზრახ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, სადაზღვევო კომპანიის მიერ სუბროგაციის უფლების გამოყენება დაუშვებელია."[106] აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის იმ დებულებებს, რომლებიც ანიჭებენ უფლებას მზღვეველს, მოშალოს ხელშეკრულება დამზღვევის მხრიდან განზრახი ქმედების არსებობისა.[107] სხვა ქვეყნების სადაზღვევო კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური შინაარსის ნორმების შედარებისას,[108] არსებული ნორმის შინაარსის ფორმულირებ სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ „თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება დამზღვევის ოჯახის წევრის განზრახი ქმედებით, მზღვეველმა სადაზღვევო საზღაური უნდა მისცეს დამზღვევს, ხოლო თვითონ უფლება აქვს, მოთხოვნა დამზღვევის ოჯახის წევრს წაუყენოს.[109]

2.4 სუბროგაციის მიზანი სადაზღვევო სამართლებრივ ურთიერთობებში

სადაზღვევო სამართლებრივ ურთიერთობაში სუბროგაციის ინსტიტუტს უმნიშვნელოვანესი დატვირთვა აქვს. იგი სადაზღვევო კომპანიების საქმიანობას, მათი ურთიერთობების გამარტივებას უწყობს ხელს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით, სადაზღვევო კომპანიებს მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნიათ. ამრიგად, სუბროგაცია ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, რაც სადაზღვევო სფეროს სწრაფ და ეფექტურ განვითარებას უწყობს ხელს.

---

[103] PEICL, 10:101 1, *ციტ: ირემაშვილი ქ.,* „მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში", სადისერტაციო ნაშრომი, 2016, გვ. 108.

[104] *ამირანაშვილი გ.,* „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან", (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 95

[105] *ამირანაშვილი გ.,* ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 96.

[106] *იქვე.*

[107] *იქვე.*

[108] *იქვე.*

[109] *იქვე.* გვ. 97.

სადაზღვევო ურთიერთობაში მონაწილე მხარეთათვის სუბროგაციის პრინციპს განსხვავებული მიზანი გააჩნია. პირველი, მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო საქმიანობისათვის სტაბილური პირობები შექმნას და საქმიანობის შეწყვეტის რისკის მინიმუმამდე დაიყვანოს, მეორე, ზიანის მიმყენებელზე გარკვეული დისციპლინური და აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინოს,[110] სუბროგაციის პრინციპის მიზანია, დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება თავიდან აიცილოს, კერძოდ არ მოხდეს დამზღვევისათვის როგორც სადაზღვეო კომპანიის მხრიდან, ასევე ზიანის მიმყენებელი პირის მხრიდან კომპენსაციის ანაზღაურება.[111]

2.5 სუბროგაცია - სადაზღვევო კომპანიების გარანტი

მსოფლიოში, ეკონომიკურ ბაზარზე, მნიშვნელოვან როლს სადაზღვევო კომპანიები ასრულებენ. ისინი ფინანსურ რესურსებს იზიდავენ, რის საფუძველზეც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ. ქართული სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესებაც აქტუალურია.

სადაზღვევო კომპანიების ძირითადი შემოსავლის წყარო სადაზღვევო პრემია და სუბროგაციის გზით მიღებული თანხებია. ორივე შემთხვევაში კომპანიის მოგება იზრდება. აღნიშნული პრინციპი სადაზღვევო კომპანიებისთვის საქმიანობის გარანტია და „სუბროგაციის შესაბამის მიზანს, რომელიც მზღვეველისთვის არსებითი მნიშვნელობისაა, „ეკონომიკური“ მიზანი შეიძლება ეწოდოს.“[112]

დიდ ბრიტანეთში 1986 წელს სასამართლო პრაქტიკამ დაადგინა, რომ სუბროგაციის გარეშე სადაზღვევო კომპანიას ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ მოთხოვნის წაყენების უფლება არ ჰქონდა.[113] ამრიგად, სუბროგაციის უფლება სადაზღვევო კომპანიებს დამატებითი შემოსავალის და სადაზღვევო რეზერვების დაზოგვის შესაძლებლობას აძლევს.[114]

---

[110] *ამირანაშვილი გ.,* ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 34

[111] *Чебунин А.В.,* "Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношенях", Сибирский юридический вестник, № 4, 2001, იხ. http://www.law.edu.ru

[112] *ოფრონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ დისერტაცია, თბილისი, 2015, გვ. 34.

[113] *Вафина К.В.,* Суброгация в страховании в российской судебной практике, 2017, გვ.1, იხ. http://www.econf.rae.ru/pdf/

[114] *ნიავიძე ნ.,* სუბროგაცია და რეგრესი დაზღვევის სამართალში, შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2012, გვ. 24.

2.6 სუბროგაცია - ზიანის მიმყენებელი პირის პასუხისმგებლობაზე ზემოქმედების საშუალება

სუბროგაციის პრინციპის თანახმად, ავტოავარიის შემთხვევის დროს სადაზღვევო კომპანია დამზღვევს აუნაზღაურებს არსებული შემთხვევიდან გამომდინარე ზიანს, რის შემდეგაც მზღვეველზე მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ გადავა,[115] ვინაიდან, მზღვეველის მიერ დამზღვევის კომპენსირებით ზიანი არ ქარწყლდება.[116] სუბროგაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ორმაგი კომპენსაციის აკრძალვის გზით დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრებისთვის ხელის შეშლა არის, თუმცა ამავდროულად, სუბროგაცია მიზნად ისახავს, ზიანის დადგომაზე პასუხისმგებელი სუბიექტი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდეს.[117]

ამრიგად, როდესაც მესამე პირი სადაზღვევო შემთხვევას გამოიწვევს, მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურება არ აქარწყლებს ზიანს და მასზე საბოლოო პასუხისმგებელ სუბიექტად მესამე პირი რჩება.[118]

2.7 სუბროგაცია, როგორც სარგებლის მიმღები პირის უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციის მეთოდი

სუბროგაციის პრინციპი, სხვა პრინციპების მსგავსად, რომელიც ქონების დაზღვევაში დამკვიდრებულია, ანაზღაურების დოქტრინას ემყარება.[119] მისი შინაარსი „Status quo"-ს აღდგენისა და მოგების მიღების აკრძალვის მიზნით განისაზღვრება.[120] სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად, მას შემდეგ, რაც მზღვეველზე მოთხოვნის უფლება გადადის ზიანის მიმყენებლის მიმართ, დამზღვევის მიერ ორმაგი ანაზღაურების მიღება გამოირიცხება, ამრიგად,

---

[115] NRLRC, "What is subrorgation and how does it affect on you?", 2018, იხ. http://www.nrlrc.net

[116] *Quast K.H.,* der Ausschluss der Regressnahme von Privatversicherern und Sozialversicherungsträgern bei Schadenszufügungen unter Familienanghörigen (§67 VVG, 640 und 1542 RVO), Bonn, 1975, 72. *ციტ:*
მოწონელიძე ნ., „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 38.

[117] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 38.

[118] *იქვე.*

[119] *ირემაშვილი ქ.,* "მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში", სადისერტაციო ნაშრომი, 2016, გვ. 109.

[120] *იქვე.*

სუბროგაციის პრინციპი პირველ რიგში დამზღვევის პირველად მდგომარეობაში აღდგენის საშუალებას წარმოადგენს.[121]

განვმარტოთ თუ რატომ და რა შემთხვევაში არსებობს უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის დადგომის საშიშროება. მაშინ როდესაც პირს მაგალითად: მანქანა დაუზიანა მეორე პირმა, მას შეუძლია შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებით მოითხოვოს კომპანიისგან ზიანის ანაზღაურება და ამავდროულად შესაძლებელია მან თანხა მიიღოს ზიანის მიმყენებელი პირისგანაც. ეს კი ცალსახად ეწინააღმდეგება სადაზღვევო ხელშეკრულების პრინციპს, რომელიც ამბობს, რომ მხარემ უნდა მიიღოს მიყენებული ზიანის ოდენობის ანაზღაურება, ვინაიდან, დაზღვევა არის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის და არა გამდიდრების საშუალება. შესაბამისად, სუბროგაციის პრინციპს სადაზღვევო ურთიერთობაში ერთგვარად „შემაკავებელი“ ფუნქცია აქვს. [122]

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს სასამართლო პრაქტიკაც. ინგლისის სასამართლოს 1883 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით საქმეზე *Castellain vs. Preston,*[123] სასამართლო განმარტავს: *„...ყველა დაზღვევის ხელშეკრულება, იქნება ეს საზღვაო, თუ ხანძრისგან დაზღვევა არის ზიანის ანაზღაურებაზე შეთანხმება, მხოლოდ კომპენსაციაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ დამზღვევმა ზიანის არსებობის შემთხვევაში სრულად უნდა აინაზღაუროს იგი, მაგრამ არასდროს არ უნდა მიიღოს უფრო მეტი. ყველა ნორმა სადაზღვევო სამართალში მიღებულია იმისთვის, რომ შეასრულოს ეს ფუნდამენტური წესი, და თუ რომელიმე მსჯელობა ზეგავლენას მოახდენს და დაუპირისპირდება ფუნდამენტურ წესს, ის უკანონოდ იქნება მიჩნეული...“* [124] საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მოსარჩელეს, რომელსაც სახლი ხანძრისგან დაზღვეული ჰქონდა დაეწვა, რის საფუძველზეც ანაზღაურებას როგორც სადაზღვევო კომპანიისგან, ასევე ზიანის მიმყენებლისგან ითხოვდა, რაც გულისხმობს იმას, რომ მას სურდა ორმაგი კომპენსაცია. ვინაიდან, აღნიშნული მოთხოვნა დაზღვევის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება, სასამართლომ მოსარჩელეს მოთხოვნა არ დაუკმაყოფილა და სუბროგაციის დოქტრინის მთავარ პრინციპზე მიუთითა, რომელიც უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას გულისხმობს.[125]

---

[121] *ირემაშვილი ქ., "მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში", სადისერტაციო ნაშრომი, 2016, გვ. 109.*

[122] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 38.

[123] Castellain v. Preston, Supreme Court of Judicature. Court of Appeal., The University of Pennsylvania Law Review, Pg. 769-777, იხ. https://www.jstor.org/stable/pdf/3304577.pdf

[124] *იქვე,* გვ. 771

[125] *John J.O'Brien.,* "The origins of subrogation"/O'Brien & Hennessy education series topic, http://www.subrogation.net/edu/edu1.doc.

უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის პრევენციისთვის სუბროგაციის პრინციპის მნიშვნელობაზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც არის განმარტებული. საკასაციო პალატა 2012 წლის 17 თებერვლის განჩინებაში უთითებს,[126] რომ "ზიანის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაში, როდესაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოიწვია მესამე პირმა, გამოიყენება კრედიტორის ჩანაცვლების პრინციპი, რაც შესაძლოა ემსახურებოდეს როგორც დაზღვეულის, ასევე მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას".[127] ამ გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ აღიარა, რომ სუბროგაციის უფლება უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდების საუკეთესო მექანიზმია.

ერთი მხრივ, სუბროგაციის, ე.წ „ჩანაცვლების პრინციპი" დაზღვევის სამართალში უსაფუძვლო გამდიდრებს თავიდან არიდების საუკეთესო მექანიზმად შესაძლოა ვაღიაროთ. მეორე მხრივ, აუცილებელია განვიხილოთ, თუ რამდენად სამართლიანია ასეთი ჩანაცვლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი..." ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დამზღვევი ვალდებულია შეიტანოს სადაზღვევო შენატანი. აღნიშული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანია გარკვეული რისკის ტარების საფასურად დაზღვეულისგან შესაბამის ანაზღაურებას იღებს. ეს პირობა კითხვებს ბადებს, კერძოდ, მზღვეველს უნდა ჰქონდეს თუ არა უფლებამოსილება ანაზღაურებული ზიანის თანხა იმ მესამე პირისგან მოითხოვოს, რომელიც საერთოდაც ხელშეკრულების მხარე არ არის?! ვინაიდან, მზღვეველი როგორც პრემიას, ასევე მოთხოვნის საფუძველზე მესამე პირისგან იღებს თანხას, საინტერესოა ამ შემთხვევაში სუბროგაციის უფლება ხომ არ წარმოშობს მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველს?! დოქტრინაში და პრაქტიკაში აღნიშნულ საკითხს ნაკლები ყურადღება ეთმობა. რაც მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი საკანონმდებლო ხარვეზია, და აუცილებელია მისი საფუძვლიანი შესწავლა და განხილვა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იმიტომ არის სწორედ ასე მოწესრიგებული, რომ სუბროგაციის უფლება გამოიყენება მაშინ, როდესაც ქონებრივი ზიანია სახეზე, რითაც კანონმდებელი მზღვეველისთვის დამატებით თანხის მიღებას, რათა ამ გზით მთავარი მიზნის, დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება იქნეს თავიდან აცილებული. განსხვავებით, სიცოცხლის დაზღვევისა, სადაც

---

[126] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება Nას-663-624-2011.იხ: http://prg.supremecourt.ge

[127] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება Nას-663-624-2011.იხ: http://prg.supremecourt.ge

განმარტებულია, რომ სიცოცხლე შეუფასებელია და შესაბამისად დამზღვევს შეუძლია ნებისმიერი ოდენობის თანხის მიღება.

ამრიგად, მიმაჩნია, რომ უშუალოდ დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრებაზე აქცენტის გაკეთება მხარეებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. ისმის კითხვა, თუ რატომ არ უნდა გამდიდრდეს ის ვინც ზიანი მიიღო, როდესაც შეიძლება გამდიდრდეს მზღვეველი? ან პირიქით რატომ უნდა მიიღოს დამატებითი შემოსავლები მზღვეველმა, თუკი ეს დამზღვევისთვის აკრძალულია? აუცილებელია აღნიშნული საკითხის ძირეული კვლევა და შესაბამისი განმარტებების გაკეთება, რათა სუბროგაცია- როგორც უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილების მექანიზმი არ აცდეს თავის თავდაპირველ მიზნებს.

2.8 სუბროგაციის უფლების გამოყენების დაუშვებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ დამზღვევის უფლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ეხება მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს, ასეთ დროს დაუშვებელია უფლების გადასვლა, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ გამოიწვია.[128] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის მეორე ნაწილი ერთგვარად ხარვეზულია.[129] აღნიშნული ნორმიდან ისე გამოდის, „თითქოს დამზღვევის ოჯახის წევრის მიერ გამოწვეული ზიანის შემთხვევაში, თუნდაც ამ უკანაკნელის მხრიდან განზრახ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, სადაზღვევო კომპანიის მიერ სუბროგაციის უფლების გამოყენება დაუშვებელია.“[130] ზემოთხსენებულ მუხლში სიტყვა - „არ“ გამორჩენილია და ნორმა შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „როცა ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ არ გამოიწვია.“[131] ზოგადად, აღნიშნული ნორმა თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის იმ დებულებებს, რომლებიც ანიჭებენ უფლებას მზღვეველს, მოშალოს ხელშეკრულება დამზღვევის მხრიდან განზრახი ქმედების არსებობისა.[132] სხვა ქვეყნების სადაზღვევო კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური შინაარსის ნორმების

---

[128] *ირემაშვილი ქ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გვ. 5, ველი 19, იხ: http://www.gccc.ge

[129] *ამირანაშვილი გ.,* ‘ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან”, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 96.

[130] *იქვე.*

[131] *ცისკაძე მ.,* სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, 2001, მუხ.832, გვ.153.

[132] *ამირანაშვილი გ.,* ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 96.

შედარებისას,[133] არსებული ნორმის შინაარსის ფორმულირება სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ „თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება დამზღვევის ოჯახის წევრის განზრახი ქმედებით, მზღვეველმა სადაზღვევო საზღაური უნდა მისცეს დამზღვევეს, ხოლო თვითონ უფლება აქვს, მოთხოვნა წაუყენოს დამზღვევის ოჯახის წევრს.[134]

ერთის მხრივ, კანონმდებელი დამზღვევის ოჯახის წევრის მიერ გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანის საფუძველზე მზღვეველის მიერ სუბროგაციის უფლების გამოყენებას გაუმართლებლად თვლის, ხოლო მეორე, მხრივ, შესაძლოა, რომ კანონმდებელი ამით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლში გატარებულ აზრს იმეორებდეს.[135] „დამზღვევის ოჯახის წევრის მიერ ზიანის განზრახ გამოწვევისას მოთხოვნის უფლების დაუშვებლობა ანაზღაურების ვალდებულების არარსებობით აიხსნება.“[136] ამრიგად, თუ სახეზე ანაზღაურების ვალდებულება არ გვექნება, სუბროგაციის წინაპირობაც არ იარსებებს, რის საფუძველზეც გამოირიცხება მოთხოვნის უფლების გადასვლა.[137]

2.9 სუბროგაციის პრიციპის შეზღუდვა

სუბროგაციის პრინციპის გამოყენება სიცოცხლის დაზღვევის დროს იზღუდება. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტლებით[138] განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ქონების დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებს შორის არსებობა თავისთავად მის გამოყენებას სიცოცხლის დაზღვევის დროს გამორიცხავს. საკასაციოს განმარტებით, „სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეულ პირს წარმოეშობა ორმაგი მოთხოვნის უფლება, თუმცა მზღვეველს არა აქვს უფლება გადასცეს სადაზღვევო საზღაური და შემდგომ ზიანის მიმყენებელს მოსთხოვოს ეს თანხა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, შესაბამისად, სსკ-ის 832-ე მუხლი, როგორც სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, განსახილველ შემთხვევაში ვერ

---

[133] *ამირანაშვილი გ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014, გვ. 96.*

[134] *იქვე.* გვ. 97.

[135] *ირემაშვილი ქ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გვ. 5, ველი 21, იხ: http://www.gccc.ge

[136] *იქვე.*

[137] *იქვე.* გვ. 6, ველი 21.

[138] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე Nას-663-624-2011, იხ. www.supremecourt.ge

იქნება გამოყენებული ანალოგიით, ვინაიდან, ნორმის ამგვარი განმარტება არ გამომდინარეობს კანონის ობიექტური მიზნებიდან."[139]

სუბროგაციის პრინციპის აკრძალვა სიცოცხლის დაზღვევაში ემყარება იმ არგუმენტს, რომ მსგავს შემთხვევაში გამოირიცხება დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხე.[140] ამასთან, „სიცოცხლის დაზღვევით გათვალისწინებული რისკის რეალიზაციისას მოსარგებლისთვის ზიანის სრულად ანაზღაურება დაკარგული სიცოცხლის აღდგენის სახით შეუძლებელია."[141] სწორედ აღნიშნული გარემოებების არსებობა ზღუდავს სუბროგაციის პრინციპის სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში გამოყენებას.

2.10 სუბროგაციის ინსტიტუტი - განსხვავებული მიდგომები

ზოგიერთი მეცნიერი სუბროგაციის ინსტიტუტს კრიტიკულად უდგება. ისინი მას უარყოფითად აფასებენ და ერთგვარად სადაზღვევო კომპანიის უსაფუძვლო გამდიდრებასთან აკავშირებენ. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მზღვეველს მესამე პირის მიმართ, რომელიც საერთოდაც ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ არ უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება. ვინაიდან, მზღვეველი დამზღვევისგან პრემიას იღებს, ხოლო მათი მოსაზრებით, მესამე პირისგან თანხის აღება, შესაძლოა გახდეს საფუძველი მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრების. ზოგიერთი მეცნიერი სადაზღვევო კომპანიებისათვის სუბროგაციის ინსტიტუტის არსებობას მომგებიან პოზიციად მიიჩნევს და მას ეგრეთ წოდებულ სადაზღვევო კომპანიის „ოქროს ფსკერსაც"[142] უწოდებს.

აღსანიშნავია, რომ შეხედულებები მზღვეველის უსაფუძვლოდ მიღებული მოგების თაობაზე თეორიულად შესაძლოა ლოგიკურად ჟღერდეს, თუმცა სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ანალიზი სრულიად სხვა სურათს გვაჩვენებს.[143]

სუბროგაციის დოქტრინის მოწინააღმდეგეები ასევე აპელირებენ მეორე არგუმენტზე, რომელიც მზღვეველის უსაფუძვლოს გამდიდრების საფრთხეს უკავშირდება. სადაზღვევო ურთიერთობაში ზიანის მიმყენებელი არის ის

---

[139]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განჩინება საქმეზე Nას-663-624-2011, იხ. www.supremecourt.ge

[140]*ირემაშვილი ქ.,* "მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში", სადისერტაციო ნაშრომი, 2016, გვ. 102.

[141] *იქვე.*

[142] *Щербакова А.Ю.,* "Понятие и природа суброгации", Мудри Юрист, #9, 2008, იხ. https://wiselawyer.ru

[143]*მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 35.

სუბიექტი, რომელიც ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირია. მიუხედავად, ამისა, აღნიშნული გარემოება, არ მიუთითებს იმაზე, რომ პრივილეგირებას, ავტომატურად, მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრება მოჰყვება.[144] დაზღვევის სამართლის თანახმად, სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მზღვეველს ზიანის ანაზღაურება ეკისრება და მას ამისათვის სადაზღვევო პრემიაც აქვს მიღებული, მიუხედავად, ამისა მზღვეველს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სუბროგაციის გზით უკან დაიბრუნოს ანაზღაურებული თანხა.[145] გერმანელი კანონმდებელი, არც კი განიხილავს სუბროგაციის ინსტიტუტს ისე, თითქოს იგი მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრებას იწვევს, პირიქით, იგი განმარტავს, რომ იგი საუკეთესო მექანიზმია სამართლებრივ სისტემაში, რომელიც დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.[146] ამრიგად, მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხეზე საუბარი გადაჭარბებულია, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ სუბროგაციის უმთავრესი მიზანია ხელი შეუშალოს დამზღვევისა და მზღვეველის უსაფუძვლო გამდიდრებას.[147]

III. სუბროგაციისა და რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება (შედარებითი ანალიზი)

3.1 რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების არსი

რეგრესი (ლათ. Regressus)[148] ლათინური წარმოშობის სიტყვაა და გადახდილი თანხის უკუმოთხოვნის უფლებას გულისხმობს. აღნიშნული ინსტიტუტი, ითვალისწინებს პასუხისმგებელი პირის უფლებას, მოითხოვოს შესრულება იმ მესამე პირისგან, რომელიც მის წინაშეა ვალდებული.[149] ერთი მხრივ, რეგრესის დროს ერთი ვალდებულებით-სამართლებრივი

---

[144] *Möller/Segger,* in: Langheid/Wandt, Münchener Kommentar VVG §§1-99 Systematische Darstellung, Band I, 2010, § 86, Rn. 17. *ციტ: მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 36.

[145] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 37.

[146] *იქვე.*

[147] *იქვე.*

[148] *ურიდია, სამსონ და სხვ. გურგენიძე ვაჟა,* (რედ), მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2004, *იხ:* http://www.nplg.gov.ge

[149] *როგავა რ.,* ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013, გვ.18.

ურთიერთობა დასრულებულია, რა დროსაც, პირი ანაზღაურებს იმ ზიანს, რომელიც მოვალემ მიაყენა კრედიტორს, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა, რის საფუძველზეც ახალი კრედიტორი, მოვალისგან ითხოვს გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას, რაც თავდაპირველ კრედიტორს თავად აუნაზღაურა.[150] რეგრესული ვალდებულება პირველი ვალდებულებისაგან ნაწარმოებ მეორად ვალდებულად მიიჩნევა.[151] უკუმოთხოვნის უფლება დამოუკიდებული მოთხოვნის უფლებაა, რომელიც როგორც მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მომენტიდან,[152] ასევე ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისა დროსაც არის წარმოშობილი.[153] ამრიგად, სუბროგაციის ინსტიტუტისგან განსხვავებით რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების დროს ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეებს შორის.

3.2 სუბროგაციისა და რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების შორის განსხვავება

სუბროგაცია კომპლექსური, ახალი და საკმაოდ რთულად გასაანალიზებელი ინსტიტუტია, რომელიც სამართალწარმოებისას გარკვეულის პრობლემებს წარმოშობს. ამ პრობლემათაგან ერთ-ერთი სუბროგაციის პრინციპის გაიგივება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან გახლავთ. ხშირია შემთხვევები, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ისეთი შემთხვევები, როდესაც ზემოთხსენებული ინსტიტუტების აღრევა ხდება, არადა, მათ ურთიერთგამიჯვნას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.[154]

სუბროგაციის ინსტიტუტის რეგრესთან შედარებისას უნდა აღინიშნოს, რომ რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების დროს ურთიერთობაში არა კრედიტორის ჩანაცვლება, არამედ დასრულებული დელიქტური

---

[150] *ბენაშვილი ქ.,* "სუბროგაციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი მიმართება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან", სიფას ჟურნალი #5, 2018, გვ. 104

[151] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 171.

[152] *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ.734.

[153] *Bamberger/Roth/Gehrlein,* §426, Rn.4, *ციტ: ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ.734.

[154] *იქვე.* გვ.35

ურთიერთობიდან ახალი ვალდებულება წარმოიშობა.[155] ხოლო სუბროგაციის დროს ერთი კრედიტორი მეორეთი იცლება, სწორედ ამიტომ მისი დადგომა არ განაპირობებს ახალი ვალდებულების წარმოშობას.[156] სუბროგაციის საპირისპიროდ, რეგრესი წარმოადგენს განცალკევებულ, დამოუკიდებელ მოთხოვნას, დამზღვევის ძირითადი მოთხოვნისგან.[157] მზღველს რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების უფლების გამოყენება შეუძლია იმ პირების წინააღმდეგ, ვინც პასუხისმგებელნი არიან დელიქტური ზიანიდან გამომდინარე, რამდენადაც სხვა მხარეები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მზღველს შეუძლია გამოიყენოს რეგრესის უფლება მაშინ, როდესაც დანარჩენი პასუხისმგებელი მხარეები დაარღვევენ თავიდან სახელშეკრულებო ვალდებულებებს განზრახ უხეში გაუფრთხილებლობით.[158]

შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ განმარტა, რომ რეგრესის უფლება წარმოიშობა მზღვეველს და იმ პირს შორის, რომელსაც აქვს სახელშეკრულებო ვალდებულება და მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს უხეში გაუფრთხილებლობის ფაქტი,[159] წინააღმდეგ შემთხვევაში რეგრესი სახეზე არ გვექნება.

ლიტვის უზენაესი სასამართლომ 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით მის მიერ განხილულ საქმეზე[160] ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სუბროგაციას დამაბნეველი ხასიათი აქვს.[161] ეს გადაწყვეტილება იმ ჰიპოთეზის ილუსტრირებას ახდენს, რომ სუბროგაცია და რეგრესის ინსტიტუტები არ არის ზუსტად განსაზღვრული და წარმოქმნის გაუგებრობებს გადაწყვეტილების მიღებისას ლიტვაში.[162] გამომდინარე იქედან, რომ სუბროგაციაშიც და რეგრესშიც მოთხოვნის უფლება ერთი პირიდან მეორეს გადაეცემა, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს აღნიშნული ინსტიტუტების აღრევას.[163] აღსანიშნავია, რომ არამხოლოდ ლიტვაში, არამედ

---

[155] *ამირანაშვილი გ.,* "ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან", (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014; გვ. 93.

[156] *ამირანაშვილი გ.,* "ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან", (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014; გვ. 93.

[157] *Graber Christoph, Kölliker Isabel,* Insurers right of recovery (subrogation/recourse),report 2016, Pg. 122, იხ. https://www.prager-dreifuss.com

[158] *იქვე.*

[159] *იქვე.*

[160] ლიტვის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, N. 3K-3-78/2010., 2010 წლის 23 თებერვალი

[161] *Kozubovska D.,* Subrogation In Insurance: Theoretical And Practical Aspects, Pg.38.

[162] ლიტვის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, N. 3K-3-78/2010., 2010 წლის 23 თებერვალი

[163] *იქვე.*

საქართველოსა და ბევრ სხვა ქვეყანაში, ხშირად სასამართლო პრაქტიკაში ხშირია მათი გამიჯვნის პრობლემები.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლზე და განმარტა,[164] რომ აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს არა რეგრესულ ვალდებულებას, არამედ შესაძლებლობას, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევს, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის" პრინციპის სახელით. „სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის, ე.ი როგორც კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის კრედიტორის ადგილს სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი) იკავებს. ასეთ შემთხვევაში ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, მაგრამ იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი, ანუ ძველ კრედიტორს ახალი კრედიტორი ანაცვლებს, თუმცა ამ დროს ახალი მოთხოვნა კი არ წარმოიშობა, არამედ იცვლება მხოლოდ კრედიტორი, კერძოდ დაზარალებული დამზღვევი იცვლება სადაზღვევო კომპანიით (მზღვეველით). სწორედ ზემოაღნიშნული განასხვავებს სუბროგაციას რეგრესისგან. რეგრესი დროს ხდება არა პირის შეცვლა უკვე არსებულ ვალდებულებაში, არამედ ამ შემთხვევაში კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება, ამრიგად, რეგრესის დროს ერთი ვალდებულება ცვლის მეორეს, ხოლო, სუბროგაციის შემთხვევაში ვალდებულებაში იცვლება მხოლოდ კრედიტორი, თვით ვალდებულება კი უცვლელი რჩება."[165] აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ შეიქმნა პრეცენდენტი, სადაც სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი რეგრესულ მოთხოვნებთან არ გააიგივა და იგი სრულიად სხვა ტიპის სამართლებრივ ურთიერთობად განიხილა.[166]

მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით,[167] კვლავ იმსჯელა რეგრესული მოთხოვნის უფლებასა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის უფლების დათმობაზე[168] და მიიღო გადაწყვეტილება, სადაც

---

[164] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-581-549-2011, იხ. http://prg.supremecourt.ge

[165] *იქვე.*

[166] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 176.

[167] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-663-624-2011 იხ. www.supremecourt.ge

[168] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 176.

ტერმინი „სუბროგაცია“ პირველად გამოიყენა.[169] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის N ას-663-624-2011 განჩინებაში,[170] უთითებს, რომ სუბროგაციის დროს ერთი პირის ადგილს იკავებს მეორე, ანუ დამზღვევს ანაცვლებს მზღვეველი. რეგრესის შემთხვევაში, კი ვითარება არის განსხვავებული, ვინაიდან, სახეზე არა კრედიტორის ჩანაცვლება, არამედ ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობა.[171] კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 843 მე-2 მუხლის მიხედვით, თუ მზღვეველი აკმაყოფილებს მესამე პირის მოთხოვნას, ასეთ შემთხვევაში მესამე პირის მოთხოვნა დამზღვევის მიმართ გადადის მზღვეველზე.[172] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი უარს აცხადებს ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ მოთხოვნის წაყენების შესახებ, ასეთ დროს მზღვეველს მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა.[173] მოცემულ შემთხვევაში მზღვეველი მესამე პირის მოთხოვნას აკმაყოფილებს დელიქტური მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო დამზღვევის მიმართ რეგრესულ მოთხოვნას კი აყენებს დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე.[174] ამრიგად, როგორც სუბროგაციის, ისე რეგრესის შემთხვევაში მზღვეველი აღიჭურვება და სარგებლობს ე.წ. დამატებითი უფლებით, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების არსის განმსაზღვრელ ელემენტად არ უნდა ჩაითვალოს.[175] ორივე შემთხვევაში მზღვეველის აღჭურვა ასეთი უფლებით მის მიერ დაზარალებული პირის სასარგებლოდ განხორციელებული ანაზღაურების შედეგია.[176] ამ ორ ინსტიტუტს შორის განსხვავება გამოიხატება ზიანის ანაზღაურების ადრესატებსა და ზიანის ანაზღაურების საფუძვლებში, კერძოდ, სუბროგაციის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ხორციელდება დამზღვევის, ხოლო რეგრესის შემთხვევაში კი – მესამე პირის სასარგებლოდ.[177]

---

[169] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 176.

[170] საქართველოს უზენაესი სასმართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 განჩინება, იხ. www.supremecourt.ge

[171] *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 843, გვ.2, ველი 6, იხ. www.gccc.ge

[172] *იქვე.*

[173] საქართველოს უზენაესი სასმართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 განჩინება, იხ. www.supremecourt.ge

[174] *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 843, გვ.2, ველი 6, იხ. www.gccc.ge

[175] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 178.

[176] *იქვე.*

[177] *ირემაშვილი ქ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 843, გვ.1, ველი 4, იხ. http://www.gccc.ge

სუბროგაციას ზოგჯერ მიიჩნევენ რეგრესის სახეობად მიიჩნევენ, რაც მართებული არ არის.[178]

ბელორუსის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი ურთიერთობა სუბროგაციის პრინციპიდან გამომდინარე გადადის მზღვეველზე, ანუ ახალ კრედიტორზე, რომელსაც გადახდილი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება უჩნდება მესამე პირთან.[179] რეგრესის დროსაც, პირს უკუმოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი, ან გამომწვევი პირის მიმართ აქვს.[180] ცხადია, რომ სუბროგაციისა და რეგრესის დროს საქმე გვაქვს სპეციფიკურ ვალდებულებებთან,რომელიც „სამკუთხედის“ ტიპის ურთიერთობას წარმოშობს.[181] ამასთან, სუბროგაციის და რეგრესის წარმოშობის საფუძვლები არის ერთი და იგივე. პირველი რიგში უნდა არსებობდეს დაზარალებული პირისათვის ზიანის მიყენება და დაზარალებულისათვის კომპენსაციის გადახდა, რომელიც მესამე პირის მიერ არის გამოწვეული.

ზემოაღნიშნული განსხვავებების გარდა, სუბროგაცია და რეგრესი ფორმალური კუთხითაც შეგვიძლია განვასხვავოთ, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ საფუძველზე რეგულირებულ ურთიერთობას განსხვავებული ხანდაზმულობის ვადები აქვს.[182] მართალია ჩვენს კანონმდებლობაში არც რეგრესის და არც სუბროგაციის დროს მოთხოვნის ვადები განსაზღვრული არ არის, თუმცა-გამომდინარე იქედან, რომ სუბროგაციის დროს არ იცვლება ძირითადი მოთხოვნა, ანუ არ წარმოიშობა ახალი სამართლებრივი ურთიერთობა და იცვლებიან მხოლოდ პირები, საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ხანდაზმულობის ვადა არ შეიცვალოს და იგი აითვალოს დამზღვევისთვის ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან.[183] რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების დროს კი, პირიქით, ვინაიდან, ახალი სამართლებრივი ურთიერთობა იწყება, ლოგიკურია, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლაც თავიდან დაიწყოს, მას შემდეგ რაც ახალი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა და მოთხოვნის უფლება ჩნდება.[184]

---

[178] *Adams H.,* “Important Features Of Automobile Insurance-Recourse and Subrogation, Differences of Subrogation and Recourse”, 2016.

[179] *Мороз В.П.,* Регресс и Страховая Суброгация: Общностъ и Различия, 2018, გვ.1; იხ. http://elib.bsu.by

[180] *იქვე.*

[181] *Мороз В.П., Регресс и Страховая Суброгация: Общностъ и Различия, 2018, გვ.1; იხ. http://elib.bsu.by*

[182] *იქვე.* გვ. 2.

[183] *იქვე.* გვ. 2.

[184] *იქვე.* გვ. 3.

ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებში არასისტემურად და ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული რეგრესისა და სუბროგაციის ცნებები, რაც იწვევს ერთგვარ გაუგებრობას, როგორც პრაქტიკულ ისე დოქტრინულ დონეზე, არადა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამიჯვნას და მათ შორის არსებული ურთიერთმიმართების დადგენას.

3.2.1 სუბროგაციის და რეგრესის მახასიათებელი ნიშნები

ზემოაღნიშნული განმარტებების საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს ორი ინსტიტუტი განსხვავებულია. თუმცა, ეს დებულება არ გამორიცხავს სუბროგაციის და რეგრესის ინსტიტუტების ფუნქციური დანიშნულების ერთიანობას. მათი საკმაოდ ბევრი ნიშნით მსგავსება იწვევს სწორედ იმ აღრევას, რომელიც ხშირად ხდება სასამართლო პრაქტიკაში და ცალკე განხილვის საგანი არის.

ამ ორ ინსტიტუტს შორის მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მათგანი კანონის საფუძველზე წარმოიშობა,[185] მათი გამოყენება იმ შემთხვევაში არის საჭირო, თუ მესამე პირის მიერ ზიანი გვაქვს სახეზე,[186] ორივე ინსტიტუტის საფუძველზე ხდება დაზარალებული პირისათვის ზიანის ანაზღაურება და ზიანის მიმყენებელი პირისგან, შემდგომ უკუმოთხოვნის დაყენება,[187] ამრიგად, ორივე ინსტიტუტს უკუმოთხოვნის მექანიზმი გააჩნია.[188]

მაშინ, როდესაც ხდება დაზღვევის შედეგად ანაზღაურებულ ზიანზე, პასუხისმგებელი მოვალის მხრიდან, მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაფარვის ვალდებულების წარმოშობა. ასევე ორივე შემთხვევაში სუბროგაციის და რეგრესის დროსაც თავად დამზღვევის ანაზღაურება ხდება მხოლოდ მზღვევლის მიერ. ორივე ინსტიტუტის დანიშნულება მოვალის მიერ გადამხდელისთვის თანხის უკან დაბრუნება ზიანის მიმყენებელი პირისგან,[189] და იმ პირის ქონებრივი მდგომარეობის

---

[185] *Светличний А.Д.,* Соотношение Регресса и Суброгации в Обезательнам Страховании Гражданской Ответствиности Владельцев Транспортних Средвст, გვ. 2, იხ. https://lib.herzen.spb.ru

[186] *იქვე.* გვ. 3.

[187] *Светличний А.Д.,* Соотношение Регресса и Суброгации в Обезательнам Страховании Гражданской Ответствиности Владельцев Транспортних Средвст, გვ. 1, იხ. https://lib.herzen.spb.ru

[188] *იქვე.* გვ. 3.

[189] *Велов В.А,* Сингуларное Провопреемство В Обязателствеб, 2007. გვ. 122, იხ. https://studfiles.net

აღდგენაა, რომელმაც კრედიტორის მოთხოვნა სხვის ნაცვლად დააკმაყოფილა.[190] ამ ორ ინსტიტუტს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო მახასიათებელი არის მათი მიზნები. კერძოდ, სუბროგაციისა და რეგრესის უმთავრესი მიზანია, არ დაუშვას ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება.[191]

ამავდროულად, ე. წ „საოჯახო პრივილეგიის" გამოყენების უფლება არსებობს როგორც სუბროგაციის, ასევე რეგრესის დროს. რაც გულისხმობს იმას, რომ თუ მესამე პირი არის დამზღვევის ოჯახის წევრი და მან მიაყენა ზიანი თავისივე ოჯახის წევრს, სუბროგაციის უფლება არ გამოიყენება. აგრეთვე არის რეგრესის შემთხვევაშიც, კერძოდ, თუ ზიანი გამოწვეულია მეუღლეების, მშობლების, შვილების და სხვა სისხლის ნათესავების მიერ, მზღვეველს არ აქვს უფლება გამოიყენოს რეგრესის უფლება, რათა მის მიერ გადახდილი ზიანის თანხა დაიბრუნოს, თუ არსებობდა განზრახვა.[192]

ბელორუსის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სუბროგაციის და რესრესის წარმოშობის საფუძვლები არის ერთი და იგივე. პირველი რიგში უნდა არსებობდეს დაზარალებული პირისათვის ზიანის მიყენება და დაზარალებულისათვის კომპენსაციის გადახდა, რომელიც მესამე პირის მიერ არის გამოწვეული.[193] ამასთან, სუბროგაციისა და რეგრესული ვალდებულებების მსგავსება ასევე იმაში მდგომარეობს, რომ ეს ვალდებულებები ერთ მიზანს ემსახურება - განსაზღვროს იურიდიული ურთიერთობის მონაწილეთა პასუხისმგებლობა ზიანის ფაქტობრივი გამომწვევი მიზეზით, როდესაც ზიანი მიადგა იმ პირს, რომელიც არ არის გამომწვევი, როდესაც კომპენსაცია განხორციელდა იმ პირის მიერ, რომელიც არ იყო ადამიანი, რომელმაც გამოიწვია იგი.[194]

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, სუბროგაცია რეგრესის ნაირსახეობას წარმოადგენს, რაც არ არის გამართლებული მოსაზრება.[195] მიუხედავად, არსებული მსგავსებისა, აუცილებელია ცალსახად მიუთითოს, რომ სუბროგაციის ვალდებულება წარმოადგენს „იურიდიულ ფენომენს" და იგი

---

[190] *Светличний А.Д.,* Соотношение Регресса и Суброгации в Обезательнам Страховании Гражданской Ответствиности Владельцев Транспортних Средвст, გვ. 3, იხ. https://lib.herzen.spb.ru

[191] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 172.

[192] *Graber Christoph*, *Kölliker Isabel*, „Insurers right of recovery" (subrogation/recourse), Pg.21-22.

[193] *Мороз В.П.,* "Регресс и Страховая Суброгация: Общностъ и Различия", 2018, გვ.1; იხ. http://elib.bsu.by

[194] *იქვე.* გვ. 2

[195] *Мороз В.П.,* "Возмещение вреда лицом, не являющимся его причинителем", Судовы веснік #3, 2011, გვ. 64-70.

ბევრ საკითხში განსხვავებულია რეგრესისაგან.[196]

მართალია, საკმაოდ ბევრი საერთო ნიშანი აქვთ ამ ორ ინსტიტუტს, თუმცა ეს მხოლოდ გარეგანი მსგავსებაა, ისინი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებიან.[197]როგორც ზემოთ განვიხილეთ უფრო მეტი და ძირეული სხვაობა არსებობს მათ შორის, და აუცილებელია მათი გამოკვლევა როგორც დოქტრინაში ასევე სასამართლო პრაქტიკაშიც, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული ინსტიტუტების აღრევას.

3.2.2 ხანდაზმულობა

სუბროგაციის და რეგრესის ინსტიტუტების შორის განსხვავებას არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, კერძოდ, აღნიშნული ინსტიტუტების ურთიერთგამიჯვნა ხანდაზმულობის ვადის მიხედვითაც შესაძლებელია.[198] უფრო კონკრეტულად, რომ განიმარტოს, უკუმოთხოვნის ორივე საშუალებისთვის კანონმდებელმა ერთმანეთისგან განსხვავებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები დააწესა.[199]

ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით, როგორც აღმოჩნდა სუბროგაციის გარკვეული პრობლემები შეიძლება წარმოეშვას მზღვეველს. სუბროგაციის დროს ხანდაზმულობის ვადის ათვლა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე აითვლება,[200] ხოლო რეგრესის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა აითვლება, როდესაც სადაზღვევო კომპანიამ აუნაზღაურა დამზღვევს მიყენებული ზიანი.[201] როგორც უკვე აღვნიშნეთ, მზღვეველს ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მას შემდეგ, რაც ის აანაზღაურებს დამზღვევის ზიანს სადაზღვევო

---

[196] Мороз В.П. РЕГРЕСС И СТРАХОВАЯ СУБРОГАЦИЯ: ОБЩНОСТЬ И РАЗЛИЧИЯ, 2018, გვ.2 იხ. http://elib.bsu.by

[197] *Мусин В.А.* „Суброгация в советском гражданском праве“, Советское государство и право N 7, 1976, გვ. 126 - 130.

[198] *Светличний А.Д.,* Соотношение Регресса и Суброгации в Обезательнам Страховании Гражданской Ответствиности Владельцев Транспортних Средвст, გვ. 4, იხ. https://lib.herzen.spb.ru

[199] *ბოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 125.

[200] *Светличний А.Д.,* Соотношение Регресса и Суброгации в Обезательнам Страховании Гражданской Ответствиности Владельцев Транспортних Средвст, გვ. 5, იხ. https://lib.herzen.spb.ru

[201] *Киселев М.Ю.,/Юрьев Е.Е.,* „Порядок предьявления регрессного требования по Закону “об обязательном страхоиании гражданской ответственности владельцев транспортных средств”, Страховое право #4, 2003, გვ. 36-37.

ხელშეკრულების ფარგლებში.[202] თუმცა, შესაძლოა ამასობაში თავად დამზღვევის მოთხოვნა მესამე პირის წინაშე უკვე ხანდაზმული აღმოჩნდეს.[203] ამ მსჯელობით კი ვადგენთ იმას, რომ თუ მზღვეველი დააყოვნებს ან რაიმე მიზეზით ვერ შეძლებს დროულად აანაზღაუროს ზიანი, ის ავტომატურად კარგავს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლების გამოყენების საშუალებას. მაშინ როდესაც, რეგრესული ვალდებულებების შემთხვევაში, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ძირითადი, მთავარი ვალდებულების შესრულების მომენტიდან.[204] რაც გულისხმობს იმას, რომ რამდენი ხნის მერეც არ უნდა მოხდეს მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურება, ის მესამე პირის წინაშე აღნიშნული თანხის უკან მოთხოვნის უფლებას ინარჩუნებს. ერთი შეხედვით, თითქოს ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში დამზღვევის უფლებების შეზღუდვა ხდება. თუმცა, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი ითვალისწინებს მზღვეველისთვის უფლებამოსილების იმ ფარგლების მინიჭებას, რაც ჰქონდა დამზღვევს, ანუ ხდება მხოლოდ პირების ჩანაცვლება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მხრივ სხვაობა ამ ორ ინსტიტუტს შორის არ არის საკანონმდებლო ხარვეზით გამოწვეული და სრულიად ლოგიკურია.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 200-201 მუხლებით, სუბროგაციის შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ პირდაპირ არის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის გაგრძელება, ხოლო რეგრესული ვალდებულებების შემთხვევაში, 201-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა ძირითადი ვალდებულების შესრულების მომენტიდან იწყება.[205]

სუბროგაციასა და რეგრესს შორის ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადებზე მსჯელობა არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერაც. კერძოდ, სასამართლომ 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის დროსაც ხდება პირთა შეცვლა ვალდებულებაში, ეს კი არ ცვლის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს და შესაბამისად, არც არსებული ხანდაზმულობის ვადის დენას.[206] აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლომ ზუსტად განმარტა, როდის უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამონაცვლეობისას. ვინაიდან, სსკ-ის

---

[202] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 125.

[203] *იქვე.*

[204] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 178.

[205] *იქვე.*

[206] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2012 წლის 5 სექტემბრის Nას-581-549-2011 გადაწყვეტილება, იხ. www.supremecourt.ge

832-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამონაცვლეობისთვის ხანდაზმულობის ვადა კანონით განსაზღვრული არ არის, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სსკ-ის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესის გამოყენება და ხანდაზმულობის სპეციალური ვადის განსაზღვრა. იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და აღნიშნული ურთიერთობისთვის სსკ-ის 699-ე მუხლით ხანდაზმულობის სპეციალური, ერთწლიანი ვადაა გათვალისწინებული, სწორედ ეს დრო უნდა განისაზღვროს მზღვეველსა და გადამზიდავს შორის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადად.[207]

უზენაესი სასამართლოს მსჯელობით, კრედიტორთა შეცვლა ვალდებულებაში ხანდაზმულობის ვადის და მისი გამოთვლის წესის ცვლილებას არ იწვევს, შესაბამისად, ახალი კრედიტორის მიმართაც იმოქმედებს ის ხანდაზმულობის ვადა, რომელიც მოქმედებდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ. საქართველოს უზენაესი სასამართლომ განმარტა, რომ თუ დამზღვევის მოთხოვნა ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ ხანდაზმულია, მაშინ მზღვეველის მოთხოვნაც იქნება ხანდაზმული ხელმყოფის მიმართ.[208] შესაბამისად, სუბროგაციის ფარგლებში გადასული მოთხოვნის მიმართ არ იმოქმედებს ხანდაზმულობის ახალი ვადა და გაგრძელდება მანამდე დაწყებული ხანდაზმულობის ვადის დენა.[209]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის დენის განსაზღვრის საკითხი სუბროგაციის მოთხოვნის არსებობისას დაადგინა. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე განმარტავს,[210] რომ 2006 წლის 27 ივნისს სადაზღვევო კომპანიასა და მზღვეველს შორის გაფორმდა ყირგიზული კომპანიისათვის მისაწოდებელი ტვირთის დაზღვევის ხელშეკრულება. 2006 წლის 13 სექტემბერს ბიშკეტში ჩასული ტვირთი დაზიანებული აღმოჩნდა, რისთვისაც 2007 წლის 13 აგვისტოს სადაზღვევო კომპანიამ, სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, დაზღვეულს აუნაზღაურა დამდგარი ზიანი, რის შემდეგაც მზღვევლს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა გადამზიდავთან და მიმართა სასამართლოს სადაზღვევო თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის მიზნით. გადამზიდავმა ხანდაზმულობის გამო უარი განაცხადა სასარჩელო მოთხოვნის შესრულებაზე, აღნიშნული კი პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუკმაყოფილა. ამის შემდგომ,

---

[207] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 181.

[208] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-581-549-2011, იხ. www.supremecourt.ge

[209] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 125.

[210] *იქვე.*

სადაზღვევო კომპანიამ სარჩელით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მისი მოთხოვნა მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა, რომლიც მან რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მიაკუთვნა. ამასთან, იმის გამო, რომ რეგრესული მოთხოვნისთვის კანონით სპეციალური ვადა დადგენილი არ არის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სასამართლომ მიუთითა საერთო ხანდაზმულობის ვადაზე და აღნიშნული ურთიერთობისთვის მოთხოვნის ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა განსაზღვრა და მხარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, რის საფუძველზეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა მიეკუთვნება არა რეგრესულ მოთხოვნის უფლებებს, არამედ პირის შეცვლას ვალდებულებაში. მოთხოვნის უფლების ამგვარი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპით. აღნიშნული მოიაზრებს კრედიტორის ჩანაცვლებას ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში, ხოლო მისი შინაარსის უცვლელად დატოვებას. სუბროგაციის საშუალებით, დამზღვევს ანაცვლებს მზღვეველი, რომელსაც წარმოეშობა უფლება ზიანის მიმყენებელი პირისაგან მოითხოვოს ანაზღაურება. როგორც უზენაესი სასამართლო განმარტავს, სწორედ ეს ძირითადი კრიტერიუმი განასხვავებს სუბროგაციას რეგრესისაგან. რეგრესის დროს ერთი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი, ანუ მარტივად, რომ ვთქვათ, ერთი ვალდებულება ცვლის მეორეს. ამასთან, ვალდებულებაში პირთა ცვლილება არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეცვლას. ამრიგად, ახალი კრედიტორის მიმართაც გრძელდება ხანდაზმულობის ვადები, რომელიც ძველი კრედიტორის მიმართ მოქმედებდა. საკასაციო სასამრთლოს განმარტებით[211] მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომელიც არეგულირებს დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას, ანუ გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, კერძოდ სსკ-ის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესის გამოყენება და ხანდაზმულობის სპეციალურ ვადის განსაზღვრა.[212] იქიდან

[211] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-581-549-2011, იხ. www.supremecourt.ge
[212] *იქვე.*

გამომდინარე, რომ გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა და აღნიშნული ურთიერთობისათვის სსკ-ის 129 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სპეციალური ერთწლიანი ვადაა გათვალისწინებული, სწორედ ეს დრო უნდა განისაზღვროს მზღვეველსა და გადამზიდავს შორის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადად, რომელის ათვლაც 2010 წლის 13 სექტემბრიდან უნდა მომხდარიყო, როდესაც დამზღვევს ზიანის მიმყენებლი პირის მიმართ წარმოეშვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამრიგად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა მიიჩნია ხანდაზმულად.[213]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის განჩინების საფუძველზე განმარტავს,[214] რომ 2010 წლის 3 ივლისს ავტომობილი შეეჯახა ბანკომატს, რომელიც იყო დაზღვეული ერთი-ერთი სადაზღვეო კომპანიის მიერ. შეჯახების შედეგად დაზიანდა როგორც თავად მძღოლი, ასევე ავტომანქანაში მჯდომი მგზავრიც. აღნიშნულ საქმეზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მძღოლის წინააღმდეგ, ხოლო სადაზღვევო კომპანიამ დამზღვევს 2010 წლის 18 ივნისს აუნაზღაურა მიყენებული ზიანი. 2010 წლის 24 სექტემბერს ავტომობილის მძღოლი განაჩენის საფუძველზე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. 2014 წლის 11 დეკემბერს სადაზღვევო კომპანიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება ავტომობილის მძღოლისგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლზე მითითებით. აღსანიშნავია, რომ სამივე ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნა, იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე, 992-ე, 128-ე და 1008-ე მუხლებით და მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნიეს.

საქართველოს უზენაესი სასამარათლო განმარტავს,[215] რომ მზღვეველისათვის მოთხოვნის წარმოშობის მომენტი დადგა, როდესაც მან ზიანი დამზღვევს აუნაზღაურა, ანუ 2010 წლის 18 ივნისს. აღნიშნულ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ მზღვეველის მხრიდან მოთხოვნის წარმოშობის ვადა დამოკიდებული ვერ იქნება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი წესით განაჩენის გამოტანაზე და განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, ვინაიდან, „დელიქტური პასუხისმგებლობისას, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლა, არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ

[213] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-581-549-2011, იხ. www.supremecourt.ge

[214] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე Nას-80-77-2016, იხ. www.sumpremecourt.ge

[215] *იქვე.*

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, კერძოდ, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლაზე."[216]

ამასთან, უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 832-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ეს აუნაზღაურებს დამზღვევს ზიანს."[217] საკასაციო სასამართლომ განჩინებაში აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით უნდა გადაწყდეს, კერძოდ იმ ნორმებით, რომელიც დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას არეგულირებს, შესაბამისად, სუბროგაციის დროს ახალი ვალდებულება კი არ წარმოიშობა, არამედ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებლს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება გრძელდება, სადაც დამზღვევის ჩანაცვლება მზღვეველით ხდება.[218] აღნიშნულ შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელს და დამზღვევს შორის არსებული ურთიერთობა გამომდინარეობს დელიქტიდან და უნდა მოწესრიგდეს სსკ-ის 1008-ე მუხლით, შესაბამისად, სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის, 130-ე მუხლისა და 1008-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის გამოყენებაზე.[219]

ამრიგად, „პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შემთხვევაში, ახალი კრედიტორის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის ის ვადა და მისი გამოთვლის ის წესი, რაც თავდაპირველი (ჩანაცვლებული) კრედიტორის მიმართ მოქმედებდა, ამიტომ, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება ასევე ახალი კრედიტორის მოთხოვნაც. განსახილველ შემთხვევაშიც, თუ აღმოჩნდება, რომ დამზღვევის მოთხოვნა ზიანის მიმყენებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება მზღვეველის მოთხოვნაც, ვინაიდან ეს მოთხოვნა მასზე გადავიდა ისეთივე მდგომარეობაში, როგორიც იყო დამზღვევის ხელში".[220]

რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, სახეზეა ვალდებულების ცვლილება, რაც იმას გულისხმობს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი ხანდაზმულობის ვადა ვერ გავრცელდება და ხანდაზმულობის

---

[216] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე Nას-80-77-2016, იხ. www.supremecourt.ge

[217] *იქვე.*

[218] *იქვე.*

[219] *იქვე.*

[220] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას- 581-529-2011, იხ. www.supremecourt.ge

ვადის ათვლა ახლიდან დაიწყება. რეგრესული ვალდებულებების შემთხვევაში, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება მთავარი ვალდებულების შესრულებისთანავე.[221]
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი განსხვავება ხანდაზმულობის ვადის მიხედვით სუბროგაციასა და რეგრესს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ვადის ათვლას არა მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდგომ, არამედ ასეთ შემთხვევაში ვადა აითვლება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან.

3.2.3 ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მიხედვით სუბროგაციის გამიჯვნა რეგრესისგან

რეგრესსა და სუბროგაციას შორის არსებული სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ სუბროგაციის შემთხვევაში ურთიერთობაში ძველი კრედიტორი ახალი კრედიტორით იცვლება, ანუ, ურთიერთობის აქტიური სუბიექტის ცვლილება არის სახეზე, რომელსაც უნარჩუნდება ძველი კრედიტორის ყველა უფლებამოსილება.[222] ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი პირი, მეორეს ურთიერთობაში ანაცვლებს.[223] დამზღვევი სუბროგაციის პრინციპის საფუძველზე, სადაზღვეო კომპანიას გადასცემს მოთხოვნის უფლებას მესამე პირის მიმართ, ხოლო რეგრესის დროს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში კრედიტორი არ იცვლება, ხდება ახალი ვალდებულების წარმოშობა.[224]

2012 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კვლავ იმსჯელა რეგრესული მოთხოვნის უფლებასა და სსკ-ის 832-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის უფლების დათმობაზე და მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ტერმინი „სუბროგაცია: პირველად გამოიყენა.[225] აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ზუსტად გამიჯნა ერთმანეთისგან რეგრესი და სუბროგაცია. მისი განმარტებით:

---

[221] *Ломидзе О.,* Переход прав кредитора к другому лицу на основании закона, Российская юстиция. № 12, 1998, 13-14. *ციტ: მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 125.
[222] *Светличний А.Д.,* Соотношение Регресса и Суброгации в Обезательнам Страховании Гражданской Ответствиности Владельцев Транспортних Средвст, გვ. 5, იხ. https://lib.herzen.spb.ru
[223] *Брагинский М.И.,* "Договор страхования", М..: Статус 2000, გვ. 157
[224] *Светличний А.Д.,* Соотношение Регресса и Суброгации в Обезательнам Страховании Гражданской Ответствиности Владельцев Транспортних Средвст, გვ. 6, იხ. https://lib.herzen.spb.ru
[225] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება, იხ. www.supremecourt.ge

„სუბროგაციის დროს განსხვავებით რეგრესისაგან, ხდება არა ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, ან ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლა, არამედ მხოლოდ კრედიტორის შეცვლა, არამედ, მხოლოდ კრედიტორის შეცვლა ვალდებულებაში, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლის გარეშე.“[226] „ასეთ დროს მოთხოვნა კრედიტორზე უნდა გადავიდეს ისეთივე მოცულობით, როგორც თავდაპირველ კრედიტორს ჰქონდა. ახალ მხარეებს შეუძლიათ მოთხოვნა და შესაგებელი ერთმანეთს იმ მოცულობით წაუყენონ, რა მოცულობითაც იგი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის პირველ ეტაპზე - პირველად კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებობდა.“[227]

მოგვიანებით, 2012 წლის 17 თებერვალის განჩინებაში, საქართველოს უზენაესმა სასმართლომ სადაზღვევო ურთიერთობის დროს პირთა ჩანაცვლებაზე იმსჯელა,[228] რომლის თანახმადაც, სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა რეგრესული მოთხოვნის უფლება და დელიქტურ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლა და მიუთითა, რომ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მესამე პირისაგან ითვალისწინებს არა რეგრესული მოთხოვნის უფლებას, არამედ დელიქტურ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლას, ჩანაცვლებას, რომელიც შესაძლოა მიზნად ისახავდეს, როგორც დამზღვევის, ისე მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას.“[229]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაეყრდნო არსებულ სასამართლო პრაქტიკას და მოცემულ საქმესთან დაკავშირებით განმარტა,[230] რომ სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის თანახმად, მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და აღნიშნული უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოთხოვნის ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპის სახელით. ეს პრინციპი გულისხმობს, ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. როგორც უზენაესი სასამართლო განმარტავს, სუბროგაციის საშუალებით მზღვეველს

---

[226] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება, იხ. www.supremecourt.ge

[227] *იქვე.*

[228] საქართველოს უზენაესი სასმართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 გადაწყვეტილება, იხ. www.supremecourt.ge

[229] *იქვე.*

[230] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1057-1017-2016, იხ. www.supremecourt.ge

წარმოეშობა უფლება გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება დამზღვევის ნაცვლად.[231] უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ასეთ დროს დამზღვევის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია, რის საფუძველზეც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, მაგრამ იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი, შესაბამისად, ახალი მოთხოვნა არ წარმოიშობა და იცვლება მხოლოდ კრედიტორი.[232] სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სუბროგაციის დროს დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს გადასცეს მოთხოვნის უფლება, ამასთან, დამზღვევს გააჩნია ვალდებულება მიაწოდოს სადაზღვევო კომპანიას ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს საკუთარი მოთხოვნის დაყენება ზიანის მიმყენებელ პირთან.[233]

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს განასხვავებს სუბროგაციასა და რეგრესისაგან შორის, კერძოდ რეგრესის დროს კონკრეტული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება, ანუ რეგრესის დროს ერთი ვალდებულება ცვლის მეორეს, ხოლო სუბროგაციის შემთხვევაში იცვლება კრედიტორი.[234] ეს არსობრივი ნიშანი განასხვავებს სუბროგაციას რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებისაგან, რომელიც სხვა ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოიშობა და დამოუკიდებელი ვალდებულების ხასიათს იძენს, ხოლო სუბროგაციის დროს დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას.[235]

---

[231] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1057-1017-2016, იხ. www.supremecourt.ge

[232] *იქვე.*

[233] *Onaolapo W.,* Principles and Practice Of Subrogation In Relation to Marine Insurance Contract, 2014, Pg. 6, იხ. https://www.onaolapo.org/pdf/

[234] *საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1057-1017-2016, იხ. http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx*

[235] *იქვე.*

IV. სუბროგაცია და ცესია (შედარებით ანალიზი)

4.1 ცესიის - მოთხოვნის დათმობის ცნება

მოთხოვნის დათმობის ცნება ორი ათასი წლის მანძილზე არ შეცვლილა, კერძოდ, დღესდღეობით, თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობასა და სამართლის მეცნიერებაში არსებული განმარტებები რომის სამართლებრივ ცნებასთან იდენტურია.[236] შუა საუკუნეების გერმანული საერთო სამართლის მიერ რომის სამართლისეული მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტი გაზიარებულ იქნა.[237] თავდაპირველად, გერმანული სამართლის მიერ მოთხოვნის დათმობა, მოვალის თანხმობით დაიშვებოდა.[238] მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანელმა კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსში მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტი გაითვალისწინა.[239]

რომის სამართლის მიხედვით, მოთხოვნის დათმობის დროს, შეთანხმების საფუძველზე ძველი კრედიტორი კუთვნილ მოთხოვნას კარგავდა და მასზე უფლებას იძენდა შემდგომ უკვე ცესიონერი.[240] მოთხოვნის დათმობა სამართლებრივი ძალის მქონედ არ ითვლებოდა, "სანამ, მოთხოვნის დათმობის შესახებ ეცნობებოდა მოვალეს (denuntiatio), ამ უკანასკნელს შეეძლო ვალდებულების შესრულება ძველი კრედიტორის მიმართ და ეს შესრულება სათანადო შესრულებად ითვლებოდა."[241]

მოთხოვნის დათმობის (ცესიის) ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული არ არის, თუმცა მისი განმარტება არის შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198 -ე მუხლის მიხედვით.

„მოთხოვნის დათმობა (ცესია)[242] არის თავდაპირველ და ახალ კრედიტორებს შორის დადებული გარიგება, რომლითაც თავდაპირველი კრედიტორი მოვალის მიმართ თავის მოთხოვნას გადასცემს (უთმობს) ახალ კრედიტორს."[243]

---

[236] *ჭეჭელაშვილი ზ.,* მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, გვ.20.
[237] იქვე. გვ.25
[238] იქვე. გვ.25
[239] იქვე. გვ. 25
[240] *იქვე.* გვ.20
[241] *იქვე.* გვ. 20
[242] *ურიდია, სამსონ და სხვ. გურგენიძე ვაჟა,* (რედ), მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2004, იხ. *http://www.nplg.gov.ge*
[243] *ჭეჭელაშვილი ზ.,* მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, გვ. 20.

ტერმინი „ცედენტით“[244] მოიხსენიება თავდაპირველი კრედიტორი, ხოლო „ცესიონერი“[245] ნიშნავს ახალ კრედიტორს. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის დათმობა, ანუ ცესია არის ორმხრივი გარიგება - ხელშეკრულება, ამრიგად, საჭიროა როგორც ცესიონერის მხრიდან მოთხოვნის დათმობის თაობაზე ნების გამოვლენა, ასევე გარიგების მეორე მხარის მიერ მისი მიღება.[246]

ცესიის სამართლებრივი ბუნება, განკარგვით გარიგებას წარმოადგენს, ვინაიდან, აღნიშნულ სიტუაციაში მისი სხვა პირზე გადაცემა ხდება, რის საფუძველზეც ცედენტი მოთხოვნას კარგავს და მას ცესიონერი იძენს.[247] მოთხოვნის დათმობის შინაარსის მოთხოვნის გადაცემა წარმაოდგენს, შესაბამისად, იგი მავალდებულებელი გარიგება არ არის.[248] იქიდან გამომდინარე, რომ ცესია აბსტრაქტული გარიგებაა, იგი მუდამ მის საფუძვლად არსებულ კაუზალური გარიგებისგან უნდა განვასხვავოთ, რომელიც ცედენტსა და ცესიონერს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა.[249] შესაბამისად, თუ რაიმე მიზეზით მოთხოვნის დათმობის საფუძვლად არსებული კაუზა ბათილად იქნება ცნობილი, ეს არ ეხება მოთხოვნის დათმობის ნამდვილობას.[250] „მოთხოვნის დათმობა მაინც ნამდვილად ჩაითვლება და მოთხოვნა გადასულად ჩაითვლება ცესიონერზე, ხოლო ცედენტსა მოთხოვნის უფლება ცესიონერის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად ეკუთვნის.“[251]

ქართული კანონმდებლობის თანახმად, მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის მოთხოვნის დათმობის შესახებ გარიგება უნდა არსებობდეს,[252] რის საფუძველზეც კრედიტორის მდგომარეობის სხვა პირზე გადაცემა ხდება,[253] უფრო ზუსტად, მოთხოვნის დათმობა საფუძვლად არ უდევს კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლას.[254] მოცემულ შემთხვევაში არც მოთხოვნა იცვლება და იგი იმავე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორიც თავდაპირველ კრედიტორის შემთხვევაში

---

[244] *ურიდია, სამსონ და სხვ. გურგენიძე ვაჟა,* (რედ), მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2004, იხ. *http://www.nplg.gov.ge*

[245] *იქვე.*

[246] *იქვე.* გვ. 37.

[247] *ჭეჭელაშვილი ზ.,* მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, გვ. 39.

[248] იქვე. გვ.40

[249] *იქვე.* გვ. 40.

[250] *იქვე.* გვ. 40.

[251] *იქვე.* გვ. 40.

[252] *ჭეჭელაშვილი ზ.,* მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, გვ.53.

[253] *იქვე.* გვ.45.

[254] *იქვე.* გვ. 45.

იყო.[255] ხელშეკრულებაში დათმობილი მოთხოვნა ზუსტად უნდა აღინიშნოს.[256] ხელშეკრულებაში ასევე ახალი კრედიტორის უფლებამოსილების შესახებ უნდა მიეთითოს, რომ იგი დათმობილ მოთხოვნას საკუთარი სახელით განახორციელებს. ამასთანავე, შესაძლებელია პირს გადაეცეს ბლანკეტური ხელშეკრულება იმ უფლებამოსილებით, რომ თვითონ განსაზღვროს ახალი კრედიტორი.[257]

4.5 სუბროგაციასა და მოთხოვნის დათმობას შორის განსხვავება

სუბროგაციასა და ცესიას შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ცესიის დროს გარიგება იდება მოთხოვნის უფლების დათმობის თაობაზე, ხოლო „სუბროგაციის შემთხვევაში უფლების გადასვლა ხდება არა გარიგების ძალით, არამედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას თავდაპირველი კრედიტორისათვის ახალი კრედიტორის მიერ სადაზღვევო საზღაურის გადახდის გზით.“[258] ამრიგად, „ცესია ხორციელდება კრედიტორის ნების გამოვლენის შედეგად, ხოლო სუბროგაციას ადგილი აქვს კანონის ძალით.“[259]

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სუბროგაციის პრინციპი და ცესია - მოთხოვნის დათმობა წარმოადგენს უკუმოთხოვნის უფლებებს, ამავდროულად, ორივე მათგანი კრედიტორის მოთხოვნის უფლების გადასვლის მარეგულირებელი ინსტიტუტია. მნიშვნელოვანია, რომ ორივე შემთხვევაში, სახეზე კრედიტორის ცვლილება და არა თავად ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსის ცვლილება.[260]

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქმეზე Nას-1057-1017-2016 განმარტავს, რომ სუბროგაციის დროს მოთხოვნის დათმობის კანონისმიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რაც მას ცესიისაგან განასხვავებს, რა დროსაც მოთხოვნის დათმობა გარიგების საშუალებით ხდება.[261]

---

[255] *ჭეჭელაშვილი ზ.,* მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, გვ. 45.

[256] *ჭეჭელაშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 199, ველი 10, იხ. http://civilcode.ge

[257] *ჭეჭელაშვილი ზ.,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 199, ველი 14, იხ. http://civilcode.ge

[258] *ამირანაშვილი გ.,* ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, 2014; გვ. 94.

[259] *იქვე.*

[260] იქვე. გვ. 95

[261] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-1057-1017-2016, იხ. www.supremecourt.ge

არსებითი განსხვავება ამ ორ ინსტიტუტს შორის უპირატესად იმ საკითხთან დაკავშირებით იკვეთება, რომ ცესია ითვალისწინებს მოთხოვნის გარიგებისმიერ (სახელშეკრულებო) დათმობას, ხოლო სუბროგაციისათვის არსებითია მოთხოვნის გადაცემის კანონით გათვალისწინებული შემთხვევა.[262] მეორე მხრივ, ამ ორ ინსტიტუტს ერთმანეთისგან განასხვავებს ის, რომ სუბროგაციის შემთხვევაში არ ხდება ძველი ძირითადი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის დასრულება, რის გამოც, იგი დამოკიდებული ხდება ურთიერთობის წარმოშობის საფუძველზე - კაუზაზე, განსხვავებით ცეიისგან, სადაც კაუზას არ ენიჭება მნიშვნელობა და რომელიც აბსტრაქტულ გარიგებას წარმოადგენს.[263] ამ გარემოების გამო, დოქტრინაში ცესიას ხშირად „განსაკუთრებულ გარიგებას“ უწოდებენ.[264]

გერმანელი კანონმდებელი სუბროგაციის შემთხვევაში მოთხოვნის უფლების კანონისმიერ გადაცემაზე, ხოლო ცესიის შემთხვევაში მოთხოვნის სახელშეკრულებო დათმობაზე მიუთითებს, რის გამოც შესაძლებელია ითქვას, რომ სუბროგაცია წარმოადგენს ცესიის კანონისმიერ გამოვლინებას, ხოლო თავად ცესია - მოთხოვნის დათმობის სახელშეკრულებო საშუალებას.[265]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სუბროგაციის დროს მოთხოვნის დათმობის კანონისმიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რაც განასხვავებს მას ცესიისაგან, რა დროსაც მოთხოვნის დათმობა ხდება გარიგების ძალით.[266] ამასთან, მიუხედავად, იმისა, თუ მოთხოვნის დათმობის რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია ის, რომ მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაში იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორიც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა წაუყენოს მოვალეს, ხოლო მოვალე უფლებამოსილია ახალ კრედიტორს

---

[262] *მოწონელიძე ნ., მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 131

[263] *იქვე.*

[264] *იქვე.*

[265] *იქვე.*

[266] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-1057-1017-2016, იხ. www.supremecourt.ge

წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას გააჩნდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ.[267]

ზემოთაღნიშნულ მსჯელობაში სუბროგაციის ინსტიტუტის მნიშვნელობა, ფუნქცია და მიზნები უკვე რამდენჯერმე განვიხილეთ. როგორც უკვე ვთქვით, მას ძალიან დიდი გარეგანი მსგავსება აქვს რეგრესთან, თუმცა არანაკლებ ხშირია აღრევა კიდევ ერთ სამართლებრივ ინსტიტუტთან - ცესიასთან. თავად ტერმინი ცესია ქართულ კანონმდებლობაში არ გვხვდება. თუმცა სსკს-ის 199-ე მუხლი იყენებს ტერმინის-მოთხოვნის დათმობა"- რაც იგივე ცესია. კრედიტორი ცესიონარს მოსავლისადმი მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. დღემდე საერთო სამართალში მას ეწოდება „chose in action"-რათა მან კრედიტორის სახელით სასამართლოს მეშვეობით გადაახდევინოს და დაიტოვოს ამოღებული თანხა.[268]

გერმანიაში მოთხოვნის დათმობა აღიარებული იყო შუა საუკუნეების საერთო გერმანული სამართლით.[269] არც გერმანულ კანონმდებლობაში არ გვხვდება ტერმინ „სუბროგაციის" მსგავსად „ცესია".[270]

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებელი ცდილობს, სუბროგაცია და ცესია მკაფიოდ გამიჯნოს ერთმანეთისგან ამისთვის, განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებს.[271] მაგალითად, გერმანული კანონმდებელი სუბროგაციის შემთხვევაში მოთხოვნის უფლების კანონისმიერ გადაცემაზე, ხოლო ცესიის შემთხვევაში-მოთხოვნის სახელშეკრულებო დათმობაზე მიუთითებს.[272] სუბროგაციის დოქტრინას გერმანელი კანონმდებელი აღნიშნავს ტერმინით-„gesetzlicher Forderungsgybergang", ხოლო ცესიას ტერმინით - „Abtretung".[273]

მიუხედავად, არსებული ტერმინის არ არსებობისა, ხშირად ხდება სუბროგაციის ინსტიტუტის ცესიასთან გაიგივება, ვინაიდან, ის ერთი შეხედვით შესაძლოა მართლა გავდეს დამზღვევის მიერ მოთხოვნის უფლების დათმობას მზღვეველისთვის, რათა მას წარმოეშვას შემდგომში მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძველი.

---

[267] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-1057-1017-2016, იხ. www.supremecourt.ge

[268] *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ.II, თარგმანი, რედ. ნინიძე თ., 2011. გვ. 130.

[269] *იქვე,* გვ. 131.

[270] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 183.

[271] *იქვე.* გვ. 183-184

[272] *იქვე.* გვ .137

[273] *იქვე.* გვ. 136

4.6 სუბროგაციის და მოთხოვნის დათმობას შორს მახასიათებელი ნიშნები

სამოქალაქო ინსტიტუტების, კერძოდ სუბროგაციისა და ცესიის ერთმანეთში აღრევა მათი გარეგანი ნიშნებით მსგავსების გამო ხდება, ისევე როგროც სუბროგაციასა და რეგრესის დროს იყო ხშირად. სუბროგაცია, ისე ცესია კრედიტორის მოთხოვნის უფლების გადასვლის მარეგულირებელი ინსტიტუტებია.[274] შესაბამისად, თუ არ მოხდება მათი გამიჯვნა, ამან შესაძლოა პრობლემები წარმოშვას პრაქტიკაში მათი გამოყენების დროს.

პირველ რიგში, ასეთი საერთო ნიშანი არის ის, რომ ორივე ურთიერთობაში არსებობს მინიმუმ სამი პირი, რომლიდანაც ორი თავდაპირველი ხელშეკრულების მხარეა და მესამე კი ის რომელსაც გადაეცა მოთხოვნის უფლება და ჩაანაცვლა თავდაპირველი კრედიტორი. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას რომ როგორც ცესიის ასევე სუბროგაციის დროსაც ყველა შემთხვევაში ჩანაცვლება სრული მოცულობით ხდება. პროცედურულად ორივე შემთხვევას საერთო ნიშანი აქვთ.

სსკ-ის 207-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს კანონის ძალით მოთხოვნის დათმობისას იმ წესების გამოყენებაზე, რომელიც უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შეძენის დროს გამოიყენება.[275] მსგავსი მიდგომაა ჩამოყალიბებული გერმანულ კანონმდებლობაშიც, კერძოდ, გსკ-ის 412-ე პარაგრაფის მიხედვით, კანონის ძალით მოთხოვნის გადაცემის მიმართ ანალოგიურად გამოიყენება მოთხოვნის დათმობის მარეგულირებელი ნორმები.[276] მიუხედავად გარეგანი მსგავსებისა, სუბროგაციასა და ცესიას შორის არსებითი განსხვავებაა, რაც მათ შორის არსებულ რამდენიმე განმასხვავებელ ნიშანშიც ცალსახად ჩანს.

4.3 ცესიის და სუბროგაციის წარმოშობის მატერიალური საფუძველი

ცესიასა და სუბროგაციის შორის ერთ-ერთი განსხვავება მათი წარმოშობის მიხედვით მდგომარეობს. ცესიას საფუძვლად უდევს ხელშეკრულება, რაც შეეხება სუბროგაციას - კანონი და ხელშეკრულება.[277] აღსანიშნავია, რომ ცესიას შემთხვევაში ყოველთვის კრედიტორის თანხმობა არის საჭირო.[278]

---

[274] *მოწონელიძე ნ., მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 184.

[275] *იქვე.* გვ. 132

[276] *იქვე.* გვ.184.

[277] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 142-143.

[278] *იქვე.*

გარიგება და კანონი ცესიის წარმოშობის ფორმალური მხარეა. ამაზე მიუთითებს სსკ-ის 198 ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, მოთხოვნა ან უფლება მათმა მფლობელმა შესაძლოა საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. ამასთან სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კი კრედიტორი მოთხოვნის დათმობის დროს თავისუფალია, რაც შესაძლოა შეიზღუდოს თუ მოთხოვნის დათმობა ეწინააღმდეგება კანონს, ვალდებულების არსს ან მოვალესთან მის შეთანხმებას, რომელიც პატივსადები უნდა იყოს.[279]

4.4 ცესიი და სუბროფაციის წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი

მოთხოვნის დათმობის მატერიალური საფუძველიც არსებობს, რაც ასევე განსხვავებულია სუბროგაციისაგან.[280] ცესიის წარმოშობილის მატერიალური საფუძველია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ცედენტსა და ცესიონერს შორის არსებობს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ისეთი ცესია, რომლის ფორმალური საფუძველი არის ცალმხრივი გარიგება, მაგალითად - ანდერძი.[281] ანდერძის შედგენა არ იწვევს ცესიას.[282] მოადნდერძის გარდაცვალება როგორც იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტი, ასევე არ იწვევს პირთა შეცვლას ვალდებულებაში, თუმცა ანდერძი და მოანდერძის გარდაცვალება სწორედ იმ იურიდიული შემადგენლობის ელემენტებია, რომელიც საფუძვლად უდევს მემკვიდრეობით სამართალ ურთიერთობას, რაც საბოლოოდ, ცესიის მატერიალური საფუძველია.[283] „სწორედ ამიტომ, სუბროგაციის წარმოშობის მატერიალური საფუძველი (causa obligations) არის არა უშუალოდ კანონი, არამედ მესამე პირის მიერ მოვალის ვალდებულების შესრულება.“[284] ამასთან, მესამე პირის ვალდებულება მხოლოდ ხელშეკრულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს.“[285]

---

[279] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 142-143.
[280] *იქვე.* გვ. 144.
[281] *იქვე.* გვ.144
[282] *იქვე.* გვ. 144
[283] *იქვე.* გვ. 144
[284] *Кораев К.Б.,* Понятие цессии, суброгации и регресса в гражданском праве россии, "Нотариус", Науч.-практ. и информ. федеральное изд. М. Юрист, №3, 2008, 21-25. *ციტ: მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 144.
[285] იქვე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სუბროგაციის და ცესიის ურთიერთგამიჯვნა მატერიალური წარმოშობის კუთხით, ვინაიდან, აღნიშნულს როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული დატვირთაც გააჩნია.

4.7 ცესიასა და სუბროგაციის შორის არსებული სხვა განმასხვავებელი ნიშნები

ცესიის და სუბროგაციის ინსტიტუტებს შორის კიდევ ერთ განმასხვავებელ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ უპირობო მონაცვლეობის ფაქტი.[286] მაშინ როდესაც ცესიის დროს ხელშეკრულების საფუძვლით გადადის ახალ პირზე მოთხოვნის უფლება და ხდება აბსოლუტური ჩანაცვლება, სუბროგაციის დროს ეს შეიძლება ასე არ მოხდეს.[287]

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ცესიის ანალოგიის გამოყენება სუბროგაციის მიმართ დაუშვებელია, რადგან ამან ურთიერთობის მონაწილე სუბიეტქების უფლებებისა და ინტერესების უგულვებელყოფა შეიძლება გამოიწვიოს.[288] თუ სუბროგაციის დროსაც, ისე როგორც ცესიის დროს პირთა უპირობო შეცვლა მოხდება, ეს გამოიწვევს იმას, რომ დამზღვევი ყველა უფლებას გადასცემს მზღვეველს, თავად კი არანაირი მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი მესამე პირის წინაშე აღარ დარჩება.[289] როგორც ვიცით, დაზღვევის ხელშეკრულების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ სადაზღვევო კომპანია ზარალს ნებისმიერი ოდენობით და მოცულობით აანაზღაურებს. იგი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც სადაზღვევო ხელშეკრულება არის დადებული. შესაბამისად, თუ მოხდება ისე, რომ დამზღვევმა მიიღო ზიანი და მისი მხოლოდ ნაწილი აანაზღაურა მზღვეველმა, სუბროგაციის დროს დამზღვევი დაკარგავდა მოთხოვნის უფლებას ზიანის მიმყენებლის მიმართ, იმ ფარგლებში რაც მას სადაზღვევო კომპანიამ არ აუნაზღაურა. ეს კი გამოიწვევდა მესამე პირის უსაფუძვლო გამდიდრების საფრთხეს. ჩვენ კი ზემოაღნიშნულ მსჯელობებში ბევრჯერ გავუსვით ხაზი იმ ფაქტს, რომ სუბროგაციის მიზანი სწორედ უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან არიდებაა. ასეთ შემთხვევებს ითვალისწინებს რუსული იურიდიული დოქტრინა, როდესაც კრიტიკის ობიექტია კრედიტორის ავტომატური უფლებამონაცვლეობის საკითხი. რუსულ იურიდიულ დოქტრინაში დამზღვევის ინტერესების დაცვის მიზნით, გამოითქვა

---

[286] *მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება,“ სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 145

[287] *იქვე.*

[288] *იქვე.* გვ. 191.

[289] *იქვე.*

მოსაზრება მოთხოვნის უფლების ნაწილობრივ გადაცემის დაშვების თაობაზე.[290] რაც გამოიწვევს იმას, რომ სხვა პირზე კრედიტორის მოთხოვნის უფლების ნაწილობრივ გადაცემის შედეგად, არ მოხდება პირთა შეცვლა ვალდებულებაში. არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შემოვა ახალი კრედიტორი მისთვის გადაცემული მოთხოვნის უფლების ფარგლებში.[291] მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სუბროგაცია ყოველთვის არ გულისხმობს კრედიტორის ავტომატურ გასვლას ვალდებულებიდან.[292] შესაბამისად, ცესიისგან ამითაც განსხვავდება სუბროგაცია, რომ მიუხედავად მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადასვლისა, დამზღვევი მაინც ინარჩუნებს მოთხოვნის უფლებას იმ ნაწილში, რაც მას მზღვეველმა არ აუნაზღაურა.

კიდევ ერთი განმასხვავებელი ფაქტორი არის ის, რომ მზღვეველი სუბროგაციის დროს გამოდის დამზღვევის სახელით, დამზღვევის დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, ხოლო ცესიის დროს კი პირი, რომელსაც გადაეცა მოთხოვნის უფლება, გამოდის თავის სახელით.[293] გარდა ამისა, ამ ორ ინსტიტუტს ისის განასხვავებს, რომ პროცედურულად ცესიის დროს აუცილებელია მოვალეს შეატყობინონ ახალი კრედიტორის არსებობის შესახებ, ხოლო სუბროგაციის დროს ზიანის მიმყენებელი მესამე პირისთვის ასეთი შეტყობინების მიწოდების ვალდებულება სამართლებრივად არ არსებობს.[294]

---

[290] *მოწონელიძე ნ., მოწონელიძე ნ.,* „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება," სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015, გვ. 200.
[291] *იქვე,* გვ.201.
[292] *იქვე,* გვ. 199.
[293] იქვე. გვ. 199
[294] *იქვე.* გვ. 200

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში სუბროგაციის არსი, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ეტაპები განვიხილეთ. სუბროგაციის ინსტიტუტს, რომელიც „ერთი საგნის მეორეთი ჩანაცვლებას ნიშნავს“, საფუძველი ჯერ კიდევ რომის სამართალში ჩაეყარა, ხოლო შემდგომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში დამკვიდრდა. როგორც ნაშრომიდან ირკვევა, აღნიშნული ინსტიტუტი ძირითადად სადაზღვევო და საბანკო სფეროებში გამოიყენება და განსაკუთრებული პოპულარობით ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სარგებლობს. ანგლოსაქსური ქვეყნების სასამართლო პრაქტიკამ სუბროგაციის უფლების ძირეულ პრინციპებს საფუძველი ჩაუყარა, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობაში მის განვითარებას.

საქართველოში პირველი სადაღვევო კომპანია 1990 წელს დაარსდა, დროთა განმავლობაში დაზღვევა მიმზიდველ და რენტაბელურ დარგად იქცა, რამაც სუბროგაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო. აღნიშნულმა ინსტიტუტმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლში ასახვა ჰპოვა. ნაშრომში აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებებს როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მნიშვნელობაც აქვს, რათა სუბროგაციის ინსტიტუტი უკეთ იქნეს შესწავლილი, თუმცა მიუხედავად ამისა, სსკ-ის 832-ე მუხლი დღემდე ხარვეზულად რჩება.

სამაგისტრო ნაშრომში დეტალურად განვიხილეთ სუბროგაციის ინსტიტუტის ორი ძირითადი მიზანი, პირველი, სუბროგაცია - ზიანის მიმყენებელი პირის პასუხისმგებლობაზე ზემოქმედების საშუალება და მეორე, სუბროგაცია, როგორც სარგებლის მიმღები პირის უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციის მეთოდი. ამ უკანასკნელის შესახებ დოქტრინაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, კერძოდ, ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით, სუბროგაცია უსაფუძვლო გამდიდრების პრევენციას არ ახდენს, პირიქით, სადაზღვევო კომპანია სუბროგაციის უფლების საფუძველზე ორმაგ კომპენსაცია იღებს. ვინაიდან, აღნიშნული საკითხი მეცნიერთა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, საჭიროა მისი უკეთ შესწავლა, რათა სუბროგაციის პრინციპმა საკუთარი ძირითადი მიზანი არ დაკარგოს.

ქართულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში სუბროგაციის პრინციპს ხშირად რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან აიგივებდნენ, თუმცა ნაშრომში მოყვანილი გადაწყვეტილებები აღნიშნულ ინსტიტუტებს ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავს. არსებული ინსტიტუტების ურთიერთგამიჯვნას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ამრიგად, საქართველოს უზენაესი

სასამართლოს დაინტერესებულია, რომ სამართალწარმოებისას სუბროგაციის და მისი მსგავსი ინსტიტუტების სწორედ გაანალიზება და მართებულად გამოყენება მოხდეს ქვედა ინსტანციების სასამართლოებისათვის.

ამასთან, სუბროგაცია როგორც მზღვეველისათვის, ასევე დამზღვევისათვის ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. კერძოდ, სადაზღვევო კომპანიების უმნიშვნელოვანეს გარანტს სუბროგაცია წარმოადგეს. ვინაიდან, სადაზღვევო კომპანიების შემოსავლის წყაროს, როგორც დამზღვევის პრემია, ასევე დამატებითი შემოსავლები, მათ შორის ზიანის მიმყენებელი პირისაგან მიღებული თანხები წარმოადგენს. რაც შეეხება დამზღვევს, იგი ზიანის არსებობის შემთხვევაში კომპენსაციას დროულად და სრულად იღებს სადაღვევო კომპანიისგან, რომელიც შემდგომ აღნიშნულ თანხას, სწორედ სუბროგაციის უფლების საფუძველზე მესამე პირისგან უკან დაიბრუნებს. ამრიგად, სუბროგაციის უფლებას სადაზღვევო ურთიერთობის ორივე მხარისთვის როგორც ეკონომიკურად, ასევე სხვა კუთხითაც მომგებიანი დანიშნულება გააჩნია.

ამრიგად, ნაშრომში არსებული მსჯელობა, შემოთავაზებული რეკომენდაციები, უზენაესი სასამრთლოს პრაქტიკა და გაანალიზებული დოქტრინა საქართველოს სადაზღვევო სამართალში არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა და პრაქტიკაში სუბროგაციის დოქტრინის ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა.

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

ამირანაშვილი, გიორგი, "სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა", სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2011.

ამირანაშვილი, გიორგი, „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან", (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის ანალიზი), მართლმსაჯულება და კანონი N1, თბილისი, 2014.

ბენაშვილი, ქეთევანი, „სუბროგაციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი მიმართება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან", სიფას ჟურნალი #5, 2018.

გარიშვილი, მარინა/ხოფერია, მარიამი, რომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2013.

ირემაშვილი, ქეთევანი, „მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში", სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016.

მოწონელიძე, ნატალია, „სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება", სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015.

ნიავაძე, ნ., სუბროგაცია და რეგრესი დაზღვევის სამართალში, შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2012.

როგავა, რუსუდანი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2013.

ურიდია, სამსონ და სხვ. გურგენიძე ვაჟა, (რედ), მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2004.

ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თარგმანი, რედ. ნინიძე თბილისი, 2011.

ცისკაძე, მარიამი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001.

ძლიერიშვილი, ზურაბ/ცეცვაძე, გიორგი/რობაქიძე, ირაკლი/სვანაძე, გიორგი, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2014.

ჭეჭელაშვილი, ზურაბ, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2008.

უცხოურ ენებზე:

Abumedin Eltayeeb, Lecturers in insurance. Training & legal reform institute, 1997.

Adams, *Helen,* Important Features Of Automobile Insurance-Recourse and Subrogation, Differences of Subrogation and Recourse, 2016.

Ambrasienė D.,/Baranauskas E., Cirtautienė S. ir kiti. Civilinė teisė. Prievolių teisė: vadovėlis: ketvirtoji laida. Vilnius: Mykolo Romerio universiteto Leidybos centras, 2009.

Babiker A., Some Aspects of the Doctrine of Subrogation in Insurance law, 2006.

Bhandari N., Doctrine of subrogation and its uses in contract of guarantee, International Journal Of Advance Research and Development, 2018.

Charles Phineas Sherman, Roman Law in the Modern World, Published 1917, Boston Book Co. (Digitized. 30 May 2006).

Epstein Howard/Keyes Theodore, Subrogation: Primer and Recent Environmental Cleanup Cases, New York Law Journal 2015.

Eric J. Pickar. Westfield insurance company, inc. vs. Rowe: The South Dakota Supreme Court rejects the Common law "Made whole" doctrine on a property insurance. South Dakota Law Review, 2002.

General principles of insurance law, Materials University of the Witwatersrand. School of economic and business sciences, Insurance and risk management, 2017.

Graber, Ch.,/Kölliker I., Insurers right of recovery (subrogation),report , 2016.

Gregory R., Veal. Subrogation: the duties and obligations of the insured and rights of the insurer revisited, Aba Tort & insurance law journal, Fall 1992.

John F. Dobbyn. Insurance law in a Nutshell, West Group. 1996.

Kagan, Julia, ‘Subrogation”, 2019.

Kozubovska D., Subrogation In Insurance: Theoretical And Practical Aspects, Vilnius, 2010.

M. L. Marasinghe, An Historical Introduction to the Doctrine of Subrogation, 2016.

Michael Ian Jackson; UBC Law Theses and Dissertation Abstracts, LL.M. 1998.

O'Brien J. The origins of subrogation/O'Brien & Hennesy education series topic, 2010.

Onaolapo W., Principles And Practice Of Subrogation In Relation To Marine Insurance Contract, 2014.

Terrence R., Joy, Esq. Legal And Practical Subrogation Issues In the U.S.A; 2018.

Брагинский М.И., "Договор страхования", М..: Статус; 2000.

Вафина К.В., Суброгация в страховании в российской судебной практике, 2017.

Велов В.А, Сингуларное Провопреемство В Обязателстве, 2007.

Киселев М.Ю.,/Юрьев Е.Е., Порядок предьявления регрессного требования по Закону "об обязательном страхоиании гражданской ответственности владельцев транспортных средств, Страховое право #4, 2003.

Мороз В. Возмещение вреда лицом, не являющимся его причинителем Судовы веснiк N3, 2011.

Мороз В.П., Регресс и Страховая Суброгация: Обшнастй и Различия, судовний весникб №3, 2012.

Мусин В.А. Суброгация в советском гражданском праве, Советское государство и право N7; 1976.

Светличний А.Д., Соотношение Регресса и Суброгации в Обезательнам Страховании Гражданской Ответствиности Владельцев Транспортних Средвст, 20014.

Чебунин А.В., Теоретические и практические вопросы суброгации в страховых отношенях, Сибирский юридический вестник; 2001.

Щербакова А.Ю., "Понятие и природа суброгации", Мудри Юрист, #9, 2011.

საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-581-549-2011 გადაწყვეტილება.
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201212.pdf

საქართველოს უზენაესი სასმართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 გადაწყვეტილება
http://www.supremecourt.ge/files/uploadfile/pdf/kr201211.pdf

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1057-1017-2016
http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx

სხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები:

Aetna Life Ins. Co. v. Middleport, 124 U.S. 534 (1888), Submitted January 4, 1888 Decided February 6, 1888 https://supreme.justia.com/cases/federal/us/124/534/

Castellain v. Preston, Supreme Court of Judicature. Court of Appeal., The University of Pennsylvania Law Review https://www.jstor.org/stable/pdf/3304577.pdf

Curtis Lee Franklin, Jr. v. Healthsource of Arkansas (96-116, S.W.2d). Supreme Court of Arkansas Opinion delivered April 21, 1997 www.courts.state.ar.us.com

2010 წლის 23 თებერვალი ლიტვის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, N. 3K-3-78/2010.

სხვადასხვა:

http://civilcode.ge/index.php?title=Main_Page

http://els-law.co.uk

http://www.gccc.ge/

http://www.nrlrc.net

https://www.asa3.org/ASA/PSCF/1990/PSCF3-90Armstrong.html

https://www.britannica.com/biography/William-Murray-1st-Earl-of-Mansfield